# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 17 მარტი 2004 №59 (2078) | ფასი 50 თეთრი

# ამსტერდამი ჟირესით და ნარკოზით

## გურული ფრანგ უფროსს არველაძის ოპერაციას მოუყვება



ბაჩო კოპილაძის ფოტო

გუშინდელ, ამსტერდამულ ამბავს მოგახსენებთ. საქართველოს ნაკრების მთავარმეგოლე შოთა არველაძემ მუხლის ოპერაცია გაიკეთა, ხოლო ამავე ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გია გურულიც ამსტერდამის იმავე სასტუმროში დაბინავდა, სადაც ნაოპერაციევი არველაძე ცხოვრობს. თვით ჟირესი კი ამსტერდამში დღეს ჩავა და დილის ათ საათზე გურულთან ერთად თბილისსკენ გამოფრინდება.

არველაძე ნარკოზით დააძინეს და ოპერაციამ 40 წუთს გასტანა. ქირურგი დიკ ვან დაიკი გახლდათ, ვინც ნაოპერაციევ ქართველ პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან გასაუბრება არ ისურვა, ყველაფერს ორ დღეში გეტყვით, როცა შოთას სახვევებს მოვხსნითო. ვან დაიკის ასისტენტს კი უთქვამს, სახსარი წამონაზარდებისგან გავწმინდეთ, ხრტილისთვის კი ხელი არ გვიხლიაო — მთავარი საფრთხე არველაძისთვის სწორედ ხრტილის სერიოზული დაზიანება იყო. ერთი სიტყვით, ზუსტ დიაგნოზს და იმას, თუ დაახლოებით როდის შეძლებს შოთა ვარჯიშის დაწყებას, ვან დაიკი ზეგ იტყვის.

ჟირესის თანაშემწე გურულს კი ჯერ ის ვკითხეთ, ვინ იქნებიან ნაკრებში მეკარეების და ფიზმომზადების მწვრთნელები.

— როგორც ჩემთვისაა ცნობილი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ნაკრებში ამ საქმეს ოთარ გაბელიას და ავთო ბერიძეს მიანდობს.

— ჟირესი და თქვენ საქართველოს ჩემპიონატის რომელ მატჩებს დაესწრებით 30 მარტს გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან შეხვედრამდე?

— 18 მარტს „დინამო“ — „ლოკომოტივს“ დავესწრებით, რადგან ამ გუნდებში ყველაზე უფრო მრავლად არიან ნაკრების კანდიდატები. დავესწრებით თასის ერთ-ერთ მეოთხედფინალს 22 მარტს და ჩემპიონატის მომდევნო ტურის რომელიმე შეხვედრას 26 მარტს.

— გერმანიის ახალგაზრდულისთვის როდის შეიკრიბება ჩვენი ნაკრები?

— საქართველოში მოთამაშეებს 27 მარტს შევკრებთ, ლეგიონერები კი გერმანიაში შემოგვიერთდებიან. ფედერაციამ ნაკრების კანდიდატთა 23-კაციანი სია მოგვაწოდა, მაგრამ გერმანიაში ალბათ 18 ფეხბურთელით წავალთ.

**დავით თავართქილაძე**



ბაჩო კოპილაძის ფოტო

# ირაკლი ლაბაძემ არაზიც ჩარაზა



ირაკლი ლაბაძისგან ამას დიდი ხანია, ველოდით. საუკეთესო ქართველ ჩოგბურთელს სადმე მაინც უნდა გამოენათებინა. მით უმეტეს, წლის განმავლობაში იმდენი ტურნირი იმართება, ყველა მეტ-ნაკლებად ამბიციური ჩოგბურთელი ახერხებს თავის აქა თუ იქ გამოჩენას. ლაბაძემ მშვენივრად დაიწყო ინდიან უელსში და ფრანგი ტიერი ასიონესა და მძლავრი კარლოს მოიას მოდრეკის შემდეგ, ასევე მრავალნაცად მაროკოელ ჰიშამ არაზისაც მარჯვედ უსწორა ჩოგანი. რანგით დიდი სლემის მომდევნო ტურნირის მერვედფინალში რიხით გასულ ლაბაძეს მომდევნო მეტოქედ 28 წლის არგენტინელი აგუსტინ კალიერი შეხვდა, რომელთანაც ჩვენებურს შარშან მოსკოვის ხალიჩაზე უთამაშია. მოსკოვში კალიერის სამ სეტში უმარჯვია.

# გადადებული მატჩი, სიურპრიზი და ნუგბარი

**ხვალ** ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა განახლდება, თუმც ექვსივე მატჩი ვერ ჩატარდება — „ბათუმი“ — „სპარტაკი“ აჭარაში შექმნილი დაძაბული ვითარების გამო გადაიდო.

ზეიმი კი ეროვნულ სტადიონზე იქნება, სადაც „დინამო“ „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს. საქართველოს პროფესიული ლიგა და „დინამოს“ ხელმძღვანელობა საგანგებო ღონისძიებას გამართავენ. პროფლიგა ამ მატჩზე ბავშვებს განსაკუთრებულად ეპატიჟება — ამ ორგანიზაციის სპონსორები „კოკა კოლა“ და „მარსი“ ნორჩებს სიურპრიზებით გაუმასპინძლდებიან.

საამმატჩოდ თავისი პროგრამა აქვს „დინამოსაც“, რომლის ერთ-ერთი ნაწილი თანამეგობრობის თასის ეროვნულ სტადიონზე გამოტანაცაა.

თუმც აქვე დავძენთ, რომ 18 მარტს გრანდიოზული შოუ არ იგეგმება. ეს, უბრალოდ, თავისებური მინირეპეტიციაა 26 მაისისთვის — თასის ფინალისთვის პროფლიგა მართლაც შოუსთვის ემზადება.

**დავით თავართქილაძე**

# ასათიანი შირმსს მოგვიანებით გაიცნობს



*უიღბლოდ დაიწყო რუსული პრემიერლიგა მალხაზ ასათიანისთვის. მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველი მცველი მძიმედ დაშავდა და სულ მცირე, ერთი თვე ვერ გავა მოედანზე. „ლოკომოტივმა“ 3:0 მოუგო იაროსლავლის „შინიკს“, მალხაზ ასათიანი და მიხეილ აშვეთია ძირითადში კი იყვნენ, თუმც...*

— კუნთი დავიჭიმე და დაახლოებით ერთი თვე ვერ ვითამაშებ. ექიმებმა დასვენება მირჩიეს. სამწუხაროა, ასე რომ მოხდა, მაგრამ რას ვიზამ. ახლა მთავარია, ფეხი მოვირჩინო, ნაადრევად ვარჯიშის დაწყებამ შესაძლოა, ტრავმა გამიმიზეზოს, ამიტომ თავს უნდა მივხედო — გვითხრა გუშინ მალხაზ ასათიანმა.

მწვრთნელმა იური სიომინმა ჩვენებური შესვენებაზე შეცვალა და ნამატჩევს ასეთი კომენტარი გააკეთა:

— ასათიანის ტრავმა ძალიან საწყენია. ბარძაყის უკანა კუნთი დაეჭიმა და ალბათ სამი-ოთხი კვირა ვერ ითამაშებს. არადა, კარგ ფორმაში იყო. სამწუხაროდ, ფეხბურთში ტრავმისგან დაზღვეული არავინაა.

ერთი სიტყვით, ათამაშებული ასათიანი „ლოკომოტივს“ ერთი თვით დააკლდება. მალხაზი ვერც საქართველოს ნაკრებს დაეხმარება 30 მარტს გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან გასამართ ამხანაგურ მატჩში. არადა, ის ალენ ჟირესის გაფართოებულ სიაში იყო. ამგვარად, ნაკრების ტრავმიანთა სამეული ასეთია — არველაძე, კობიაშვილი, ასათიანი — ფრანგ მწვრთნელს ისინი მოგვიანებით თუ გაიცნობენ.

**კახა შალამბერიძე**

# გახოკიძისთვის პენალტი გათავდა



*გოგა გახოკიძის „ტვენტემ“ და „ბრედამ“ ნუხელ „ამსტელის“ ანუ ჰოლანდიის თასის ნახევარფინალში 120 წუთი ითამაშეს და მერე პენალტებიც დაარტყეს. ჩვენიანი ნახევარმცველი „ტვენტეს“ მეპენალტეთა სიაში ბოლო, მეხუთე იყო, თუმც გახოკიძის დარტყმამდე საქმე აღარ მისულა. იქამდე „ბრედამ“ ორი პენალტი გააცუდა და ფინალი „ტვენტეს“ დაუთმო. მეორე ნახევარფინალში დღეს „უტრეხტი“ და პირველლიგელი „სპარტა“ თამაშობენ*

— ფინალში მეტოქედ, რა თქმა უნდა, „სპარტა“ გვსურს და ვუქომაგებთ კიდეც, მაგრამ „უტრეხტი“ გაცილებით მაღალი კლასის გუნდია და ალბათ გაიმარჯვებს — გვითხრა გოგა გახოკიძემ, რომელსაც ნამატჩევს დავუკავშირდით — ისე, სათასო მატჩებისას მოულოდნელობა ხშირია და ვინ იცის, მეტოქედ ეგებ, „სპარტა“ გვერგოს. თუმცა, მეტოქეს დიდი მნიშვნელობა არც აქვს, ერთი მატჩის, მით უმეტეს, ფინალის კარგად თამაში მთლად სოფლის გუნდსაც შეუძლია.

— „ბრედასთან“ შეუცვლელად ითამაშე?

— 120 წუთი მოედანზე ვიყავი და გადამწყვეტი პენალტის დარტყმაც მწვრთნელმა მე მომანდო. აქამდე კი საქმე არ მისულა, ჩვენმა მეკარემ იყოჩაღა და მეხუთე პენალტი საჭირო აღარ გახდა.

— ახლახან „ფეიენოორდთან“ გაცუდებული პენალტის შემდეგ არ შეგეშინდა გადამწყვეტი დარტყმის შესრულება?

— არა, რატომ უნდა შემშინებოდა?! პენალტი ვის არ გაუცუდებია. „ბრედასთან“ კი დარწმუნებული ვიყავი, რომ გავიტანდი.

— მატჩისას საგოლე პასი ხომ არ გაგიკეთებია?

— პირველ ტაიმში 0:1 ვაგებდით, მერე გავათანაბრეთ და ჩემი საგოლე პასის შემდეგ დავწინაურდით, მაგრამ „ბრედამ“ 88-ე წუთზე კიდევ გაგვიტანა. ერთი კარგი პასი დამატებით დროშიც გავაკეთე და, ყველას რომ გოლი ეგონა, სტუმართა მეკარემ ისეთი ბურთი აუღო ჩვენიანს.

— ერთიც უნდა გკითხო, ნაკრებზე. შენი და ფეხბურთის ფედერაციის ურთიერთობაში ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, დათბა. მზად ხარ ნაკრებში დასაბრუნებლად?

— ნაკრებისთვის გახოკიძე ყოველთვის მზად იყო. რა ვიცი, ფედერაციიდან ჯერ არავინ დამკავშირებია, თუმც გავიგე, რომ ჩემს გამოძახებას აპირებენ. მადლობელი ვიქნები, თუ მართლა ასე მოხდება.

**კობა ინასარიძე**

## გერმანია

**სამხრეთ რეგიონალლიგა. გადადებული მატჩები**

აალენი 3:1 ფიურტი
ვეჰენი 2:2 კაიზერსლაუტერნი (მ)
პფულენდორფი 1:2 ჰოფენჰაიმი

**თასის ნახევარფინალი**

*ვერდერი* 3:2დ.დ.(1:1) ლიუბეკი

## ავსტრია

**I დივიზიონი. XXIV ტური**

ლუსტენაუ 0:0 ბლაიბერგი
უნტერზიბენბრუნი 1:0 აუსტრია (ლ)
კაპფენბერგი 1:2 ლინცერი
რიდი 1:2 ლეობენი
ტიროლი 5:2 ვიორგლი

## შოტლანდია

**I დივიზიონი. გადადებული მატჩები**

ინვერნესი 3:1 კლაიდი
სენტ მირენი 1:1 სენტ ჯონსტონი

**II დივიზიონი. გადადებული მატჩები**

ბერვიკი 1:1 ერდრი
ისტ ფაიფი 1:3 დამბარტონი
ფორფარი 2:2 არბროთი
ჰამილტონი 0:1 ალოა

**III დივიზიონი. გადადებული მატჩები**

ალბიონი 3:3 პიტერჰედი
ელგინი 0:0 კოუდენბითი

## ხორვატია

**თასის 1/8 ფინალი**

კამენი 2:3 რიეკა

## პორტუგალია

**თასის ნახევარფინალი**

ბრაგა 1:3 *პორტუ*

## სლოვაკეთი

**I ლიგა. XIX ტური**

ინტერი 1:0 ტრენჩინი

## უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა. XVIII ტური**

ჰალადაში 0:2 უიპეშტი

## ინგლისი

**I დივიზიონი. XXXVII ტური**

კარდიფი 2:3 რედინგი
ნორვიჩი 3:0 ჯილინგემი
როტერჰემი 1:1 შეფილდ იუნ.
უოლსოლი 1:3 იფსვიჩი
უოტფორდი 2:1 დერბი ქაუნთი
ვესტ ბრომვიჩი 2:1 უიგანი
სანდერლენდი 1:1 სტოკი
უიმბლდონი — მილუოლი გადაიდო

**II დივიზიონი. XXXVII ტური**

ბლეკპული 1:1 ბრენტფორდი
ჩესტერფილდი 0:2 ბრაიტონი
კოლჩესტერი 1:1 უიკომბი
ჰარტლპული 2:2 სტოკპორტი
ოლდემი 1:1 ბარნსლი
პლიმუთი 2:0 პიტერბრო
პორტ ვეილი 1:0 ლუტონი
ქუინზ პარკი 2:0 რექსემი
რაშდენი 2:1 ნოტსი
ტრანმერი — ბრისტოლი გადაიდო

**III დივიზიონი. XXXVII ტური**

სკანთორპი 0:2 კიდერმინსტერი
როვერსი 2:2 ტორკი
ბერი 3:0 მენსფილდი
კემბრიჯი 0:1 ბოსტონი
კარლაილი 1:1 ნორთჰემპტონი
ჰადერსფილდი 1:1 როჩდეილი
ჰალი 3:0 ლეიტონი
ლინკოლნი 2:2 საუთენდი
მაკლსფილდი 2:1 სუონსი
იოვილი 0:1 დონკასტერი

**კონფერენს ლიგა. გადადებული მატჩები**

მარგეიტი 3:1 აკრინგტონი
ნორსვიჩი 1:1 ექსეტერი
სკარბორო 0:1 ტემუორთი
ბარტონი 1:4 ალდერშოტი

**ასოციაციის თასი 1/4 ფინალი. გადათამაშება**

ტრანმერი 1:2 *მილუოლი*

## საფრანგეთი

**თასის 1/4 ფინალი**

ამიენი 0:1 *დიჟონი*
ბრივი 1:2 პსჟ

## ჰოლანდია

**თასის ნახევარფინალი**

*ტვენტე* 2:2დ.დ.(პენ.4:3, 2:2) ბრედა

# ვასო ელისტის ყალმუხლია

## ქართულ-კარტული და ზედაც აფხაზური

ტრავმამოშუშებული ვასილ გიგიაძე ელისტის „ურალანს“ გოლით დაუბრუნდა. პირველ დივიზიონში დაქვეითებული ყალმუხები ჯერაც საახალსეზონო მზადებაში არიან და გუშინწინ ყაზახურ „ირტიშს“ გაეჯიბრნენ ამხანაგურად. „ურალანმა“ მეტოქეს გარუსებული ქართველის, ქართველისა და აფხაზის გოლებით 3:1 მოუგო. ზურაბ წიკლაური, ვასილ გიგიაძე, ბესლან აჯინჯალი — სწორედ ამ სამეულის იმედი აქვთ ელისტელებს ახალ სეზონში.

მოსამაზადებელზე ბევრი ეჭვი გაჩნდა, გიგაიძემ გუნდი დატოვაო, თუმცა ასე არ მოხდა. ჩვენებური მძიმე ტრავმის გამო დააკლდა „ურალანს“ ორ უცხოურ შეკრებაზე. ახლა კი ქართველი თავდამსხმელი ჯანზეა და გოლების გატანაც დაიწყო.

დღეს „ურალანი“ ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცს“ ეთამაშება ამხანაგურად. სეზონის დაწყებამდე ელისტელებს კიდევ ორი სპარინგი აქვთ დაგეგმილი ჯერაც უცნობ მეტოქეებთან.

**კახა შალამბერიძე**

# ცეზარმა ვერ გაისროლა

**თბილისის** „ლოკომოტივის“ და რიგის „სკონტოს“ ყოფილი თავდამსხმელი ცეზარ ხუროძე ტულის „არსენალმა“ დაიწუნა. რამდენიმე კვირაა, ხუროძე რუსეთის ამ პირველდივიზიონელში ისინჯებოდა, თუმცა მწვრთნელებს თავი ვერ მოაწონა. ტულელებმა ჩვენებურთან ერთად კიდევ ერთი ფეხბურთელი, მავანი ოტიუცკი გაუშვეს.

შეგახსენებთ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ წევრს უკვე რა ხანია, ხეირიანად არსად უთამაშია. „არსენალში“ ის ედიკ საჯაიასთან ერთად კი მივიდა, თუმც... საჯაია მოსკოვის „ტორპედომ“ ერთი წლით გაანათხოვრა ტულაში. ამ ტრანსფერის ფორმალობანი უკვე მოგვარებულია. ხუროძე კი ისევ უგუნდოდაა...

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს პირველი ლიგა 15 ჩემპიონატი**
**მეორე წრე**

# 16 ტური

ხაშური. 16 მარტი. 15 საათი. გრიგოლ ჯომართიძე. 200 (ტევადობა 8 000)

## იბერია 1:0 ამერი

1:0 თ. ხაჩიძე (21)

ივერია: ხარშილაძე, ულუმბელაშვილი, მელაძე, ბლიაძე, გოგოლაძე, თ. ხაჩიძე (ხმალაძე 68), ლომიძე, ჯოგლიძე, გონგლაძე (დ. ხაჩიძე 60), ჯაფარაშვილი, მეტრეველი (მურჯიკნელი 65)
მწვრთნელი: თენგიზ ოსაძე

ამერი: ასლანაძე, კედელაშვილი, ელბაქიძე, დავითნიძე, გარუჩავა, განუგრავა, ვერემჩუკი (შონია 46), ხუბუა, სილაგავა, კუსრაშვილი (გოცირიძე 46), წინამძღვრიშვილი (მჭედლიშვილი 75)
მწვრთნელი: თამაზ კოსტავა

გაფრთხილება: ჯოგლიძე (43), გოგოლაძე (84); გაძევება: ელბაქიძე (44)

მსაჯები: ა. შალამბერიძე; ა. ნონიკაშვილი, დ. კვეტენაძე; ვ. ელისაბედაშვილი

# უნდა გაიტანო, შენი გაიტანო!

**კობა ინასარიძე** ხაშურიდან

**უმაღლესი** ლიგის საგზურის მაძიებელმა „ამერმა“ კონკურენტებთან მიახლოების ჩინებული შანსი გაუშვა ხელიდან — სამი ქულა ხაშურის უვარგის მოედანზე დატოვა და თან ცხრილის მეზობელ „გორდასა“ და „ვიტ ჯორჯიასაც“ ჩამორჩა. არადა, ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელნაკლული, მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში კი კაცნაკლულადაც მოთამაშე „ამერი“ ვალდებულიც იყო, „ივერიასთვის“ აქეთ აერთვა ქულები და ხუთეულში ადგილი არ დაეკარგა.

მასპინძლებმა მეტოქის კარისკენ სულ ორჯერ დაარტყეს — ერთხელ ჯოგლიძემ, რომელმაც კარს საკმაოდ ააცილა, მეორედ კი, 21-ე წუთზე, ხაჩიძემ, ვინც გაიტანა კიდეც, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მას არც დაურტყამს: მარცხენა ფლანგზე მეტრეველმა კედელაშვილი რომ დაჯაბნა და ბურთი კარისკენ ჩააწოდა, ხაჩიძემ ახლო ძელთან ასლანაძეს დაასწრო, ბურთზე ფეხი ზედ ცხვირწინ აუკრა და შორეულ კუთხეში გაუტანა. აი, სულ ეს იყო, რაც „ივერიამ“ მოახერხა, დანარჩენი დრო „ამერისა“ იყო. იქამდე კი, ვიდრე სტუმრები უშედეგო შტურმზე გადავიდოდნენ, ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდიც იყო: ანგარიშის გასათანაბრებლად დაძრულმა „ამერმა“ ზურგი მოაშიშვლა და არბიტრისგან სამართლიანადაც დაისაჯა: ცენტრთან ახლოს ერთბაშად ორ ამერელს — დავითნიძესა და ელბაქიძეს ბურთზე თამაში ხაჩიძემ დაასწრო და ასლანაძესთან პირისპირ დარჩა — ელბაქიძე მეტოქეს კი გამოუდგა, მაგრამ მისი შეჩერება მხოლოდ წესების დარღვევით მოახერხა და შალამბერიძის წითელმა ბარათმაც არ დააყოვნა. წუთში ტაიმიც დამთავრდა.

შესვენებაზე სტუმრებმა ორი შეცვლა გააკეთეს, შონიამ ვერემჩუკი შეცვალა, გოცირიძემ — კუსრაშვილი, ნახევარმცველმა განუგრავამ კი უკან დაიწია. „ამერიც“, თითქოს გაბრაზდაო, ტაიმის თავიდან ბოლომდე „ივერიას“ ისე მიაწვა, ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. მაგრამ შედეგი? შედეგი თბილისელთა აგრესიას არ მოჰყოლია, უშედეგო კი ყველაფერი ფუჭია.

მეორე ტაიმის საწყის ხუთ წუთში „ამერმა“ სამი კარგი მომენტი ვერ გამოიყენა: დაულალავმა გოცირიძემ ორჯერ თავით მოუგო ბრძოლა მცველებს, თუმც ორჯერვე მეკარემ აჯობა, ერთხელ კი გოცირიძისვე ზედ საჯარიმოს ხაზთან წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა ამერელებმა უნიათოდ შეასრულეს.

საწყისმა შტურმმა გადაიარა, მაგრამ მატჩი ისევ „ამერის“ კარნახით გაგრძელდა. საკვირველი იყო: შთაბეჭდილება რჩებოდა, სტუმრები ჯიუტად არ იყენებდნენ გრძელ პასებს, თითქოს ბურთის აწევასაც ერიდებოდნენ და ბურთის გაგორებას მოედნის შუაში ცდილობდნენ. ხელოვნურ საფარზე, მეტნაკლებად სწორ მოედანზე ასე თამაში ეგებ წარმატების მომტანიც ყოფილიყო, თუმცა არა იქ, სადაც გუშინდელი მატჩი ჩატარდა — ტლაპოში, სადაც ბურთის გაგორება და ხეირიანი შეტევა შეუძლებელია, ჩაშლა კი იოლი საქმე.

როგორც იყო, ტაიმის შუახანს „ამერმა“ ცოტა სული მოითქვა და მეტოქეს ისევ შეუტია: დაახლოებით 30 მეტრიდან განუგრავას საჯარიმოდან დარტყმულ ბურთს ხარშილაძემ ზედ ცხრიანთან წაატანა თითები. ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, შემდეგ კუთხურზე გადავარდა. იქიდან მოწოდებული მცველ-შემტევებს შორის აიბლანდა, ამერელთაგან კი ერთი დამრტყმელი არ გამოჩნდა. ორიოდ წუთში გოცირიძეს შეექმნა ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ტალახში ფეხი ვერ მოიკიდა და ვეღარ დაარტყა. მიწურულს კი ხუბუას ჰქონდა, შეიძლება ითქვას, ყველაზე რეალური მომენტი: ამერელი ფლანგიდან შეიჭრა „ივერიას“ საჯარიმოში, მეკარესთან თითქმის პირისპირ დარჩა, მაგრამ მცველი წამოეპარა და ლონივრად აღარ დაარტყმევინა — ხარშილაძემ ბურთი ისევ კუთხურზე მოიგერია.

თავის მხრივ „ივერიას“, თავდასხმას მიძალებული „ამერის“ დასჯა შეეძლო. მეორე ტაიმში მასპინძელთა ეულ ფორვარდ ხმალაძეს ორჯერ ჰქონდა შეტევის გამწვავებისა და შედეგიანად დაბოლოების კარგი შანსი, მაგრამ მისი პასები არაზუსტი იყო.

„ამერი“ მომდევნო მატჩს, „ცხინვალთან“, 20 მარტის ნაცვლად 21 მარტს „შევარდენზე“ გამართავს.



ხაშურელთა მეკარე რამაზ ხარშილაძემ გიორგი განუგრავას დარტყმული ცხრიანიდან ჩამოხსნა

**გურია 0:3 გორდა**

**ლოკომოტივი 2 1:4 ქობულეთი**

**ოლიმპი 2:0 სამგურალი**

**ლუკა — ჩიხურა** გადაიდო

**დინამო 2 3:0 მილანი**

**ცხინვალი 1:1 თსუ**

**ვიტ ჯორჯია მცხ. 3:0 მეტალურგი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქობულეთი | 16 | 11 | 1 | 4 | 31:15 | 34 |
| სამგურალი | 16 | 9 | 4 | 3 | 22:9 | 31 |
| ოლიმპი | 16 | 9 | 4 | 3 | 24:14 | 31 |
| ცხინვალი | 16 | 8 | 5 | 3 | 28:12 | 29 |
| ვიტ ჯორჯია-მცხ. | 16 | 6 | 7 | 3 | 15:10 | 25 |
| გორდა | 16 | 7 | 3 | 6 | 17:19 | 24 |
| ამერი | 16 | 6 | 5 | 5 | 19:14 | 23 |
| ივერია | 16 | 6 | 5 | 5 | 13:19 | 23 |
| დინამო 2 | 16 | 6 | 4 | 6 | 28:20 | 22 |
| მილანი | 16 | 6 | 4 | 6 | 11:12 | 22 |
| ჩიხურა | 15 | 6 | 2 | 7 | 18:17 | 20 |
| ლოკომოტივი 2 | 16 | 6 | 1 | 9 | 14:24 | 19 |
| თსუ | 16 | 5 | 4 | 7 | 24:18 | 19 |
| გურია | 16 | 5 | 3 | 8 | 17:23 | 18 |
| ლუკა | 15 | 4 | 1 | 10 | 12:27 | 13 |
| მეტალურგი | 16 | 0 | 1 | 15 | 5:45 | 1 |



იწონებენ თუ იწუნებენ, სულიკო დავითაშვილმა თავისი საქმე იცის

*ჟამთა სვლამ მოიტანა და საქართველოს სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ ახლა ქვედა ექვსეულშია. თუმც მეორე ეტაპისთვის „ტორპედოში“ ახალი მწვრთნელი და ფეხბურთელები მივიდნენ და თასის მეოთხედფინალში ბოლნისის „სიონს“ სტუმრად 3:2 მოუგეს, რითაც მეოთხედფინალში გავიდნენ — „ტორპედოს“ სამივე გოლი სულიკო დავითაშვილმა გაიტანა, ვინც ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „თბილისის“ მთავარმეგოლე გახლდათ, ხოლო ჩემპიონატის ბომბარდირებში პირველობისთვის ბორის გონჩაროვსა და რევაზ გოცირიძეს ეპაექრება*

# მეათედი წამის ამბავი
## რატომ აბრაზებენ აბრეზას?

— ახლა ქვედა ექვსეულში მოგიწევს თამაში და როგორ ფიქრობ, ამით უფრო მეტი შანსი გაქვს, ჩემპიონატის ბომბარდირი გახდე?

— ზეექვსეულში გოლების გატანა უფრო ძნელი კია, მაგრამ ისეც არ არის, რომ რადგან ქვედა ექვსეულში ხარ, გოლებს ადვილად გაიტან — მაქსიმალური კონცენტრაციის გარეშე ბურთს ვერსად შეაგდებ.

— „თბილისიდან“ რატომ გამოგიშვეს, რაიმე კონკრეტული მიზეზის გამო?

— მითხრეს, აქცენტს ახალგაზრდებზე ვაკეთებთ, შენ კი გამოცდილი ფეხბურთელი ხარ და სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ვერ შეურიგდებიო — ასე იყო საქმე და ჩვენც ნორმალურად დავშორდით ერთმანეთს.

— ზოგს მიაჩნია, რომ შენ „თბილისის“ სათამაშო სქემას ვერ ერგებოდი, სწრაფი თამაში გიჭირს. „თბილისს“ სისწრაფის ხარჯზე თუ შეუძლია, „დინამოს“ და „ვიტ ჯორჯიას“ მოუგოს — რამდენად იზიარებ ასეთ მოსაზრებას?

— ასეთი მოსაზრება აბსურდი და არაპროფესიონალიზმია, „ვიტ ჯორჯიასთვის“ კი გოლი რამდენჯერმე გამიტანია. რაც შეეხება სისწრაფეს, „თბილისში“ ასეთი მოთხოვნა იყო — 30 მეტრი 3,8 წამში უნდა გაგერბინა, მე კი 3,9 წამში გავრბოდი.

— გამოდის, ერთი მეათედი წამისთვის გაგიშვეს გუნდიდან...

— ეგრე გამოდის, მაგრამ ჩემთვის ამის შესახებ არავის არაფერი უთქვამს.

— „ტორპედოს“ სათასო შანსებს როგორ უყურებ? მეოთხედფინალში პირველი ლიგის „ქობულეთს“ ხვდებით და თუ ნახევარფინალში გახვალთ, მერე შეძლებთ წინ წაწევას?

— ჯერ „ქობულეთს“ უნდა მოვუგოთ და მერე ჩვენთვის მნიშვნელობა არ ექნება, ვის შევხვდებით. „დინამო“ დანარჩენ გუნდებზე ძლიერი კია, მაგრამ მოგება ყველასთან შეიძლება, მათ შორის „დინამოსთანაც“.

— შარშანწინ „ლოკომოტივში“ ჩემპიონატის ბომბარდირი გახდი და გუნდიდან მაინც გაგიშვეს. მერე „თბილისში“ იყავი მთავარმეგოლე და იქიდანაც გამოგიშვეს — რაშია საქმე?...

— ხომ შეიძლება, ეს ამ გუნდების მესვეურებსაც ჰკითხოთ? „ლოკომოტივში“ და „თბილისში“ ჩემი ქცევით, პროფესიონალიზმითა და თამაშით არაფერი დამიშავებია.

— „ტორპედოში“ რა ხდება, რა სიტუაციაა?

— ბაზა, შეკრება, კვება, ხელფასი — ყველაფერი ნორმალურადაა. ახლა მთავარია, გუნდმა შედეგი აჩვენოს და მერე ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

— სეზონის დამთავრების მერე „ტორპედოში“ აპირებ დარჩენას?

— ვნახოთ, რა როგორ მოხდება. თუ კარგი პირობები იქნება, დავრჩები — „ტორპედოს“ ძველი ძალის დაბრუნება სურს, როცა სამი წელი ჩემპიონი ხდებოდა.

— ასეთ იმტაზე „ტორპედო“ ბოლნისში მოგებული სათასო მატჩის შემდეგ მოვიდა?

— ბოლნისში სერიოზული თამაში გვქონდა და შემიძლია, გადაჭრით ვთქვა, რომ ბოლნისში თამაში ყველა გუნდს ძალიან გაუჭირდება, იქნებ ბოლნისში მეორე ეტაპზე ვერც ერთმა გუნდმა ვერ მოიგოს. ჩვენ კი „სიონთან“ ნორმალურად ვითამაშეთ და იღბალიც „ტორპედოსკენ“ იყო.

— „ტორპედომ“ შენი ჰეთ ტრიქით მოიგო...

— ეს სამი გოლი ჩემთვის პრესტიჟის საქმე იყო — ყოველდღე უნდა დაამტკიცო, რომ ფეხბურთელი ხარ და თამაში შეგიძლია.

**დავით თავართქილაძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

# ივო შუშაკი: გრძნობათა ბალანსი და მაისი-დაისი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ქეთილაძის ფოტო

## კარგი მეტი იყო, ცუდი ნაკლები, იყო დინამო და იყო ნაკრები

*ყველაფერი 2002 წლის 2 მარტს დაიწყო. ეროვნული ჩემპიონატის მატჩში „დინამო“ „სამგურალს“ მასპინძლობდა. თბილისელებს მთავარი მწვრთნელის რანგში პირველად თავკაცობდა ხორვატი ივო შუშაკი. ის შეხვედრა დინამოელებმა 3:0 მოიგეს. საგულისხმოა, რომ შუშაკის 90-ე მატჩიც სწორედ „სამგურალთან“ სათასო შეხვედრა იყო, ახლახან, 6 მარტს რომ გაიმართა. ამ ორი წლის განმავლობაში ხორვატის ხელში ქვეყნის თერთმეტგზის ჩემპიონის თამაში ხარისხობრივად გაუმჯობესდა. გუნდი ამოძრავდა, მეტი შემოქმედებითობა და გამძლეობა შეიძინა. ფეხბურთელებმა ზრდას უმატეს და შედეგად ახლანდელ „დინამოს“ ეროვნული ნაკრების 8 კანდიდატი ჰყავს. გუნდმა სამი წლის დაკარგული ჩემპიონობა და თასიც დაიბრუნა. ყოველივე ეს კი ესენგეს თასის მოგებით დააგვირგვინა. შუშაკმა ეროვნულ ნაკრებში მუშაობა და რუსებზე გამარჯვებაც მოასწრო. ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება, ეროვნული ჩემპიონატის განახლებამდე თვალი გადავავლოთ ხორვატის ორ წელს და მომავალი გეგმებიც შევიტყოთ*

**— ბატონო ივო, ხვალ, საქართველოს ჩემპიონატის განახლების მატჩზე „ლოკომოტივთან“ „დინამოს“ 92-ედ გაუძღვებით. გაიხსენეთ ძველ თამაშთა თქვენეული განცდა და ემოცია...**

— იმ პერიოდში, რაც მე „დინამოში“ ვმუშაობ, სასიამოვნო განცდა გაცილებით სჭარბობს ნეგატიურს. მოვიპოვეთ თასი, ჩემპიონობა. დავამარცხეთ რუსეთის ნაკრები. ბოლოს კი ყოველივე ესენგეს თასის მოგებით დავასრულეთ. თუმცა სპორტს ერთი დაუწერელი კანონი აქვს — სიხარულით და გამარჯვებით დიდი ხნით ვერ დატკბები. ახალი მიზნები და გამოწვევები მეტ სტიმულსა და ინტერესს მმატებს. მატჩების რაოდენობასა და საიუბილეო რიცხვ-თარიღებზე კი არასოდეს მიფიქრია, ჩემთვის წინა პლანზე ყოველთვის ახლა საკეთებელი შედეგი — მოგებაა.

**— თქვენამდე „დინამოში“ ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი მუშაობდა, თუმცა მას გუნდში ფეხის მოკიდება გაუჭირდა. გამუდმებით ქართული მენტალიტეტის თავისებურებაზე ლაპარაკობდა. თქვენ ამ ორ წელიწადში არათუ არ გაგიჭირდათ ქართულ ხასიათთან შეგუება, არამედ ლამისაა, თავად იქცევით ქართველივით...**

— „დინამო“ ჩავიბარე თუ არა, ვიგრძენი, რომ განსხვავებული მენტალიტეტის კლუბში აღმოვჩნდი. მიმაჩნია, მწვრთნელის უნარიც სწორედ იმაშია, შეძლოს და ახალ გარემოს უმალ აუღოს ალღო. უნდა შეეცადოს, უცხო გარემოში სწრაფად ამოიცნოს ყველა დადებითი და უარყოფითი მომენტი და ისინი პროფესიულ რელსებზე შეაყენოს. ამით მოთამაშეთა ხასიათის უარყოფითი თვისებები უკანა პლანზე გადადის. თუმცა მაინც არსებობს ორი საზიანო მიდგომა. ერთი, აღიქვა მენტალური სხვაობა და აჰყვე მას, მეორე — მენტალიტეტს არ შეეგუო და ქედმაღლურად ზემოდან დასცქირო. მიმაჩნია, რომ მთელი ჩემი არსით ჩავერთე ქართულ ცხოვრებაში, მეტი პროფესიონალიზმი და საქმის თავდადებით კეთების ჩვევა დავნერგე. ეს სინთეზი საოცრად წაადგა „დინამოს“. უცხოურ შეკრებებზე ჩემი ბიჭების პროფესიონალიზმის თაობაზე უამრავი კეთილი სიტყვა მომისმენია. საქართველოსთან ჩემი ადვილად შეგუება იმანაც განაპირობა, რომ მეც პატარა ქვეყნის შვილი ვარ. ხორვატიაც სხვათა ქვეყნის შემადგენლობაში შედიოდა. ჩვენც სტუმართმოყვარე ხალხი ვართ. ახლა თამამად შემიძლია ვთქვა — დღესდღეობით ქართული ცხოვრებით ვცხოვრობ.

**— ბოლო დრომდე საკმაოდ ხშირად მოიხსენიებოდით საქართველოს ნაკრების შესაძლო მთავარ მწვრთნელად. იმედგაცრუებული ხომ არ ხართ, რომ თქვენს სამსახურზე უარი თქვეს?**

— არა, რას ამბობთ?! პირიქით, მსურს, ბატონ მერაბ ჟორდანიას არჩევანი შევუქო. პირადად მე ძალიან დაინტერესებული ვარ ქართული ფეხბურთის წინსვლით. რამდენადაც საჭირო ვიქნები ჩემი ცოდნა-ინფორმაციით, ვიმეორებ, ინფორმაციით და არა შეთავაზებით ან წინადადებით, ისე მიგულეთ ჟორდანიასა და მთლიანად ქართული ფეხბურთის გვერდით. ჩემი აზრით, ქართულ ფეხბურთში მოსაქმიანე ყველა პირი ასე უნდა ფიქრობდეს.

**— ბატონო ივო, ხვალ ეროვნული ჩემპიონატი განახლდება. თქვენ, ფაქტობრივად, ყველა კონკურენტის მატჩს დაესწარით. როგორ შეაფასებდით მეტოქეებს და „დინამოს“ შანსებს?**

— ჩვენი რვაქულიანი უპირატესობა განახევრდა და ოთხამდე შემცირდა. ეს სხვაობა კი მშვიდი ცხოვრების გარანტიას არ გვაძლევს. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ჩვენი ერთ ორგანიზმად ქცეული გუნდი დარასელიას, ხიზანეიშვილის, ამისულაშვილის და ალექსიძის გარეშე დარჩა. ასეთი დანაკლისის ანაზღაურება კი მოკლე ხანში შეუძლებელია. ამას დაუმატეთ ბურდულის ტრავმა და მიხვდებით, რომ საკმაოდ რთული სეზონი გველის. მიუხედავად ამისა, წლეულსაც მხოლოდ ჩემპიონობისთვის ვიბრძოლებთ. ამის თქმის საფუძველს კი გამოცდილი ნემსაძისა და სილაგაძის დამატება მაძლევს. დროულად შევიმატეთ ბრაზილიელი ჰომერო და ახალგაზრდა, ნიჭიერი მოთამაშეები, ქოქიაშვილი და კაკალაძე. კონკურენტებიდან მთავარ მეტოქედ კი მაინც „ვიტ ჯორჯია“ მიმაჩნია. არა მარტო ჩვენს შორის ქულათა ყველაზე ნაკლები სხვაობის გამო, არამედ იმიტომაც, რომ მათ გუნდის ბირთვი შეინარჩუნეს. ანგარიშსგასაწევ ძალას წარმოადგენს აგრეთვე „თბილისი“. ნიჭიერი ახალგაზრდებით დაკომპლექტებული ეს გუნდი გამოცდილი ფეხბურთელებით გაძლიერდა. იგივე შეიძლება ითქვას საკმაოდ მოღონიერებულ „ლოკომოტივზე“. ბოლნისს ტრადიციულად კარგი გუნდი ჰყავს, თანაც იქ თამაში ყოველთვის ჭირდა. გორის „დილა“ კი შინ ყველასთვის საშიში მეტოქეა. ჩემპიონატი ალბათ საკმაოდ დაძაბული და უკომპრომისო იქნება, ჩემპიონის ვინაობა შესაძლოა, უკანასკნელ ტურამდეც არ გაირკვეს. თუმცა მჯერა, რომ ფინიშთან პირველები მაინც ჩვენ მივალთ.

**— სილაგაძის მოსვლით დაცვის ხაზში პრობლემები ამოიწურა?**

— ჩვენ ორი მაღალი დონის მცველი — ხიზანეიშვილი და ამისულაშვილი დავკარგეთ. სილაგაძის სახით გამოცდილი მცველი შევიმატეთ და თან დაცვაში კონკურენციაც გაძლიერდა. მიუხედავად ამისა, ასეთ მცირე დროში დაცვის დაბალანსება შეუძლებელია.

**— რამდენად ძალუძს ჰომეროს დარასელიას შეცვლა?**

— დარასელიას შემცვლელის პოვნა ძალიან ძნელია. დარასელიამ და ალექსიძემ ერთად ჩვენი გოლების 75 პროცენტი გაიტანეს. ჰომერო გაცილებით ახალგაზრდაა. ის მარჯვე ცაციაა. მასში დიდ პოტენციას რომ არ ვხედავდე, არ შევიძენდით. თუმცა არ მინდა, მას დარასელიას ტვირთი ავკიდო. ვიტალი მაინც სხვა იყო..

**— ქართული ფეხბურთის ახალ თაობაში ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე სანდრო იაშვილი თქვენი გუნდის წევრია. ბოლო ხანს მასთან ხშირად გაქვთ კონფლიქტი...**

— უკვე წელიწადნახევარია, სანდრო ჩემთან ვარჯიშობს. როგორც კი მისი თამაში ვნახე, მაშინვე მოვისურვე შეძენა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი არ ეთანხმებოდა ჩემს ამ მოსაზრებას. ბოლო პერიოდში იაშვილმა დაამტკიცა თავისი საჭიროება, თუმცა ჯერ მაინც არ შემიძლია ვთქვა, რომ ის „დინამოსთვის“ ბოლომდე ჩამოყალიბდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „იაშკა“ გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრია, ამიტომაც მას სტაბილურობა აკლია. ის შეიძლება დღეს საუკეთესო იყოს, ხვალ კარგი, ზეგ კი ცუდი. თუმცა, შრომისმოყვარე ბიჭია და თუ ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც საჭიროა, თამამად შემეძლება, ვთქვა — ესაა ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელი, რომელსაც დიდი ფეხბურთის თამაში შეუძლია.

**— ნემსაძის შემატების მერე გოგობერიშვილს მეტი შემოქმედების საშუალებას მისცემთ?**

— ნაკრების კაპიტანმა დამაჯერებლობა შემატა შუა ხაზს. ნემსაძეს შეუძლია იტვირთოს როგორც მცველის, ასევე შემქმნელის ფუნქციები. ეს გოგობერიშვილს საშუალებას მისცემს, წინ წავიდეს. შუა ხაზის ამ წყვილმა პრობლემები მოგვიხსნა. მათი მოედანზე ერთად ყოფნით ანჩაბაძეს ხელ-ფეხი ეხსნება. მას შეუძლია, მთელი თავისი რეჟისორული თვისებები წარმოაჩინოს.

**— საქართველოში თქვენი ჩამოსვლის დღიდან განსაკუთრებით მოგწონდათ მალხაზ ასათიანი. ახლაც თუ ადევნებთ თვალყურს მის თამაშს?**

— რა თქმა უნდა, ვადევნებ და მსურს, მალხაზმა იცოდეს, რომ მიხარია მისი წარმატებები. „ლოკომოტივი“ მაღალი რანგის გუნდია და კარშიც რომ დააყენონ, არც ეს უნდა ითაკილოს. თუ ასე გააგრძელა მუშაობა, ის მალე ისეთი დონის მოთამაშე გახდება, რომელიც თავად აირჩევს, სად ითამაშოს. მართალია, დაცვაში ასათიანის ნიჭი იკარგება, მაგრამ მისი ნიჭიერება სწორედ ამაშია, რომ მცველადაც შეუძლია თამაში.

**— მაისში კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირზე — ლობანოვსკის თასზე მიემგზავრებით, ველოდოთ ახალ ტრიუმფს?**

— თავისთავად, საერთაშორისო ტურნირები იმისთვის არსებობს, რომ ფეხბურთელებმა გამოცდილება შეიძინონ. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ნებისმიერ ტურნირზე უამბიციოდ გამგზავრება არასპორტული საქციელია. ლობანოვსკის თასზე ჩვენ არა მარტო ჩვენი პოტენციალის, არამედ ჩვენი ფასის გამოჩენაც გვმართებს. ახლა, ამ ეტაპზე ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად მზად შევხვდებით კიევურ ტურნირს.

**— ერთ ადრინდელ პრესკონფერენციაზე თქვით, რომ ესენგეს თასის მერე რამდენიმე რუსული კლუბისგან მიიღეთ შემოთავაზება. „დინამოში“ კონტრაქტი ორ-სამ თვეში გიმთავრდებათ. სად იმუშავებს ამის მერე ივო შუშაკი?**

— „დინამოსთან“ კონტრაქტი 31 მაისს მისრულდება. ძნელია იმის თქმა, სად ვიმუშავებ მერე. ახლა ამაზე ფიქრით თავს არ ვიტვირთავ. ამ საკითხზე ჩემი აგენტები მუშაობენ, ვიცი, რომ შემოთავაზებების ნაკლებობა არ იქნება. თუმცა, გავიმეორებ, ამ თემაზე არ ვფიქრობ და საქართველოს ჩემპიონატსა და თასზე ვარ ბოლომდე კონცენტრირებული. მომდევნო სეზონში რა იქნება, მარტო ღმერთმა იცის, ეგებ ცოტა ხნით დავისვენო კიდეც...

**— ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე „დინამო“—„ლოკომოტივის“ პრინციპული დაპირისპირებით იხსნება. ამ კლუბში ბევრი ექსდინამოელია, რომლებიც თავიანთი ძალის სრულად წარმოჩენას შეეცდებიან...**

— ზეექვსეულში იოლი თამაშები არ იქნება. ყველა გუნდი მოედანზე უაღრესად მოტივირებული გამოვა. ადრეც არაერთხელ მითქვამს და ახლაც გავიმეორებ, ცხრილს მნიშვნელობა არ აქვს, როდესაც ქალაქური დერბია. მართალია, პირველ წრეში „ლოკომოტივი“ ორჯერ დავამარცხეთ, მაგრამ ეს მოდუნების უფლებას არ გვაძლევს. მეტოქე მნიშვნელოვნად გაძლიერდა და მას ჯეროვნად ვაფასებთ. ჩვენი გუნდი მხოლოდ მაქსიმალური მობილიზაციით მიაღწევს სასურველ შედეგს. რაც შეეხებათ ექსდინამოელებს, ვფიქრობ, მათი შემდგომი ზრდისთვის სასარგებლო უნდა იყოს სხვა კლუბებში, კერძოდ, „ლოკომოტივში“ განათხოვრება. ფეხბურთის გულშემატკივრებს კი ერთს ვპირდები, საქართველოს ჩემპიონატი მეტად პრინციპული და საინტერესო მატჩით განახლდება.

**დავით ერაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ დასცინით გიორგიოსს
## ინტერით ადრიანოც დაავადდა

*სერია A-ს 25-ე ტურის გმირებად და ანტიგმირებად იტალიელი ჟურნალისტი, დომინიკ ანტონიონი „ინტერის“ სამ, ხოლო „მილანის“, „იუვენტუსის“ და „რეჯინას“ თითო მოთამაშეს მიიჩნევს კერძოდ.*



გიორგიოს კარაგუნისმა „კიევოსთან“ ისე ითამაშა „ინტერის“ ძირითადი დაიმსახურა



კრისტიან ვიერი „ინტერის“ ძალაა, კაფუ „მილანის“

**კრისტიან ვიერი** (ინტერი) — „კიევოსთან“ შეხვედრის ფრედ, 0:0 დამთავრების მიუხედავად ვიერიმ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დიდი ფეხბურთელია, მოედანზე ერთადერთ ნამდვილ ლიდერად ის სჩანდა. მერე რა, რომ მის დარტყმულებს ამ შეხვედრაში ვერონელთა მეკარემ, ლუკა მარკეჯანიმ აუღო ალღო. ვიერის მომავალ კვირაში უეფას თასზე თამაში არ სურს და მის ძალასა და უნარს თვალნათლივ ამ ორი მატჩის შედარებით დაინახავთ.

**გიორგიოს კარაგუნისი** (ინტერი) — ის, რომ „ინტერში“ კარაგუნისი გამოირჩევა, მხოლოდ და მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გუნდს ძალიან სერიოზული პრობლემები აქვს. აქამდე ეს მოთამაშე ტიფოზების ხუმრობის ობიექტი იყო, თუმცა „კიევოსთან“ საუკეთესო ფეხბურთელთა გვერდით დადგა. ამ ეტაპზე აშკარად ღირსია ძირითად შემადგენლობაში ითამაშოს.

**კაფუ** (მილანი) — როდესაც „რომამ“ კაფუ „მილანს“ მიჰყიდა, ალბათ ფიქრობდა, რომ ბრაზილიელი მცველის კარიერა დღეებს ითვლიდა, არადა, კაფუ ამ სეზონში უბრალოდ დიდებულად თამაშობს. ბოლო ტურში მან ტურინში, „იუვენტუსის“ წინააღმდეგ ითამაშა ბრწყინვალედ.

**ალესიო ტაკინარდი** (იუვენტუსი) — „მილანთან“ შეხვედრაში ტაკინარდი იმდენად აგზნებული იყო, რომ კაკასაც სულელურად ეჩხუბა და სხვა მრავალი უაზრო ჯარიმაც მიიღო. ის იმედგაწბილებულ თუ განწირულ ფეხბურთელს ჰგავდა, ალბათ მიხვდა, რომ სკუდეტო უკვე შორს არის.

**ადრიანო** (ინტერი) — „ინტერის“ სენით ადრიანოც დაავადდა. აბა, სხვა რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ ამ სეზონის დასაწყისში „პარმას“ ფორვარდი დაფრინავდა, დღეს კი ფეხბურთს ისე თამაშობს, როგორც „კიევოს“ წინააღმდეგ ვიხილეთ. ის მოედანზე სრულიად დაკარგული იყო და თითქოს დახმარებას ეძებდა თუ ითხოვდა. იმედია, მომდევნო სეზონში, „ინტერის“ სავარაუდო ახალი მწვრთნელი, რობერტო მანჩინი ყველაფერს დაალაგებს.

**ჯანლუკა კომოტო** (რეჯინა) — კომოტომ ჩვენი ანტიგმირობა ერთ წუთში მოახერხა. ამისთვის ფრანჩესკო ტოტის წინააღმდეგ უხეშობა სრულიად საკმარისი აღმოჩნდა — თუ გახსოვთ, შეხვედრის დაწყებიდან მხოლოდ ერთი წუთი იყო გასული, როდესაც მან „რომას“ კაპიტნის მწყობრიდან გამოყვანა მოინდომა. გაუმართლა მხოლოდ ყვითელი ბარათით რომ დასაჯეს.

**ბაჩუნა ძიდია**

# კაკამ ჩრდილი არჩია
## ბიჭი, რომელიც პლატინის გაუტოლეს

*ბრაზილიელი ნახევარმცველის, კაკას ევროდებიუტი ძალიან წარმატებული გამოდგა — „სან პაულუდან“ „სან სიროზე“ გადასული, 21 წლისა, სერია A-ს ერთ-ერთ უკაშკაშეს ვარსკვლავად იქცა და დღეს „მილანის“ შავწითელი მაისურით სკუდეტოსა და ჩემპიონთა თასისთვის იბრძვის*



არადა, მილანელებს თურმე თავიდან მისი სერია B-ში გაშვება სურდათ, ეჭვობდნენ, რომ „მილანის“ ძირითადი შემადგენლობისთვის ის ჯერ მზად ვერ იქნებოდა და რომელიმე გუნდში სტაჟირება მოუხდებოდა, თუმცა ეს ვარიანტი მალევე გაუქმდა — კაკამ სწორედ რომ „მილანის“ ძირითადში დაიმკვიდრა ადგილი და მეტიც, მისი ერთ-ერთი მთავარი წევრი გახდა, ხოლო მავანი ჟურნალისტები იმდენად გაკადნიერდნენ, რომ დიდ მიშელ პლატინისაც კი შეადარეს.

„შედარება მსიამოვნებს კიდეც და მართალია, პლატინის სიმაღლეზე ჯერ არ ავსულვარ, დიდ პასუხისმგებლობასაც მაკისრებს. პლატინიმ მსოფლიოო ფეხბურთის ისტორიაში მთელი თავი ჩაწერა, ხოლო მე მხოლოდ გზის დასაწყისში ვარ. ალბათ, ასეთი პარალელი თამაშის სტილიდან მოდის, თუმცა ვიმეორებ, სამუშაო ჯერ ძალიან ბევრი მაქვს“ — განაცხადა მაშინ კაკამ.

დღეს ამბობენ, რომ ბრაზილიელმა ქების პირველ სეტყვას გაუძლო, თავი არ წააგო და მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ დიდი ამბიცია აქვს, ჩრდილში დგომის სწორი პოლიტიკა ამჯობინა.

„ღვთის შეწევნით ცხოვრებაში უკვე ბევრს მივაღწიე. თუმცა გაჩერებას არ ვაპირებ. ამჟამად ჩემი მიზანი „მილანთან“ ერთად იტალიის ჩემპიონობაა. ვოცნებობ სკუდეტოსა და ჩემპიონთა ლიგის ერთდროულ მოგებაზე — ამბობს ახალგაზრდა, რომელიც რაც ჩემპიონთა ლიგას უშუალოდ შეეხო, კიდევ უფრო მოიხიბლა ამ შეჯიბრებით — ბრაზილიაში რომ ვცხოვრობდი, ჩემპიონთა ლიგას ვადევნებდი თვალს, გარდა ამისა, ესპანეთის და იტალიის ჩემპიონატებსაც ვუცქერდი, თუმცა ლიგას ვერაფერი შეედრება. უამრავი ფეხბურთელი ოცნებობს ლიგაში თამაშზე, იმედი მაქვს, ტიტულის დაცვას „მილანი“ შეძლებს.“

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ კაკას თამაშს სიმტკიცე და თვითდაჯერებულობა მწვრთნელის, კარლო არჩელოტის ნდობამ შემატა.

„ბრაზილიაში საკმაოდ მიცნობდნენ, ევროპაში კი ნამდვილად უსახელო ვიყავი, მადლობა მწვრთნელს, რომელსაც ჩემთვის შანსის მოცემის არ შეეშინდა. ანჩელოტის ნდობას და მხარდაჭერას ვერასოდეს დავივიწყებ. ეს ადამიანი ჩემთვის ყოველთვის საგანგებო იქნება.“

და იცოდით თუ არა, რომ გასულ ზაფხულს კაკას „მილანის“ ნაცვლად შეიძლებოდა „ჩელსიში“ ამოეყო თავი? მაგრამ საქმეში „მილანის“ ერთ-ერთი დირექტორი, „სან პაულუს“ აღზრდილი ლეონარდო ჩაერია. ლეონარდოს და კაკას ბრაზილიაში ერთად ნახევარი წელიწადი ჰქონდათ ნათამაშევი და ახალგაზრდამ ვეტერანისა იწამა.

„ლეონარდო „მილანზე“ ყოველთვის აღფრთოვანებით საუბრობდა — იგონებს კაკა — მიყვებოდა კლუბის მიღწევებზე, ვარჯიშის მეთოდებზე და ვხვდებოდი, რომ „მილანი“ გრანდია. ხოლო შემდეგ, როდესაც „შავ-წითლებმა“ ჩემდამი ინტერესი გამოხატეს, ჩემი სურვილიც მათთან გადასვლა იყო და დღეს ბედნიერი ვარ, „სან სიროზე“ რომ ვთამაშობ“.

**ბაჩუნა ძიდია**



კაკამ ბურთთან ბრაზილიურად მოქცევა იცის

## რუსეთი

პრემიერლიგა. I ტური

**ლოკომოტივი 3:0 შინიკი**

1:0 იზმაილოვი (4), 2:0, 3:0 სიჩოვი (33, 39)

**ლოკომოტივი:** ოვჩინიკოვი, ევსეევი, ნიჟეგოროდოვი, ასათიანი (სენიკოვი 46), გურენკო, მამინოვი, ლოსკოვი, იზმაილოვი (ჩესნაუსკისი 60), ობიორა, სიჩოვი (პაშინინი 77), აშვეთია

მწვრთნელი: იური სიომინი

გაფრთხილება: ასათიანი

მსაჯი: სუხინა

7 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ზენიტი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 1 |
| კრილია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სატურნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ცსკა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ამკარი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ტ. მეტალურგი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ალანია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| რუბინი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ყუბანი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| როტორი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| შინიკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| როსტოვი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |

## გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIV ტური

**კარლსრუე 1:1 მაინცი**

1:0 ენგელარდტი (88), 1:1 ტაინერი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიურნბერგი | 24 | 12 | 7 | 5 | 44:28 | 43 |
| კოტბუსი | 24 | 12 | 6 | 6 | 38:30 | 42 |
| ობერჰაუზენი | 24 | 11 | 6 | 7 | 37:33 | 39 |
| ალემანია | 24 | 11 | 5 | 8 | 37:35 | 38 |
| არმინია | 24 | 10 | 6 | 8 | 33:26 | 36 |
| მაინცი | 24 | 8 | 12 | 4 | 33:26 | 36 |
| კარლსრუე | 24 | 9 | 7 | 8 | 26:28 | 34 |
| დუისბურგი | 24 | 8 | 8 | 8 | 34:32 | 32 |
| ბურგჰაუზენი | 23 | 8 | 7 | 8 | 29:25 | 31 |
| უნტერჰახინგი | 24 | 8 | 7 | 9 | 30:31 | 31 |
| ტრიერი | 24 | 8 | 6 | 10 | 32:37 | 30 |
| რეგენსბურგი | 24 | 7 | 9 | 8 | 29:35 | 30 |
| ფიურტი | 24 | 6 | 11 | 7 | 38:37 | 29 |
| აუე | 24 | 7 | 8 | 9 | 26:29 | 29 |
| ლიუბეკი | 24 | 7 | 8 | 9 | 35:39 | 29 |
| უნიონი | 24 | 7 | 7 | 10 | 28:28 | 28 |
| ალენი | 23 | 6 | 5 | 12 | 20:33 | 23 |
| ოსნაბრიუკი | 24 | 5 | 5 | 14 | 21:38 | 20 |

# პანკარომ კალაძე იუვენტუსში გაუშვა



*„მილანის“ მცველი ჯუზეპე პანკარო ამბობს, რომ გასულ ზაფხულს „სან სიროზე“, კერძოდ „მილანში“ გადაბარგებამ მის კარიერას ახალი ძალა შთაბერა. ბოლო პერიოდია, ეს მარცხენა მცველი დიდებულ ფორმაშია და საქართველოს ნაკრების ვარსკვლავს, კახა კალაძეს ძალიან სერიოზულ კონკურენციას უწევს*

„ასეთი დიდი ვარსკვლავების მხარდამხარ თამაში დამატებითი სტიმულია — ამბობს 32 წლის პანკარო — მიხარია „შავ-წითელი“ მაისურა რომ მაცვია და ამ გუნდის წევრი ვარ“.

პანკარომ ჩინებულად ითამაშა ბოლო ტურშიც, როდესაც „მილანი“ „დელე ალპიზე“ „იუვენტუსს“ შეხვდა და 3:1 მოუგო.

„ჩემპიონატში წლეულს უკეთ მიგვდის საქმე, ვიდრე გასულ სეზონში. ეს დაძაბული, დაუღალავი შრომის შედეგია“ — მიაჩნია მცველს.

ჩვენ კი გვეეჭვება იმისა, რასაც მისა და კალაძის კონკურენციაზე ამბობენ. კერძოდ, ამბობენ, თითქოს პანკარომ კალაძე დაჩრდილა და ვინაიდან ქართველით „იუვენტუსიც“ დაინტერესებულა, შესაძლოა, „მილანმა“ ის ტურინში გაყიდოსო.

ამ ვერსიისა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გვეეჭვება, რადგან კალაძე ახალგაზრდაა, პანკარო ვეტერანი და ის, რომ 2004 წლის მარტში ვეტერანმა ახალგაზრდას აჯობა, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მილანი“ სტრატეგიას ხვალ-ზეგ ფეხბურთიდან სულ მიმავალ კაცზე ააგებს. მეორე მხრივ, ის რომ, კალაძის გამო ერთმანეთს „მილანი“ და „იუვენტუსი“ ელაპარაკებიან, ძალიან კარგია.

შეგახსენებთ, რომ „იუვეს“ დაცვაში სერიოზული პრობლემები აქვს, თუმცა მისი მცველი (სხვათა შორის, ბოლო თამაშებში სერიოზულად დაწუნებული) ნიკოლა ლეგროტალიე ამბობს:

„ვიცი, რომ გვაკრიტიკებენ, მაგრამ მე ჩემი ძალისა და იღბლის მწამს. არცთუ დიდი ხნის წინ ტრავმირებული ვიყავი, ახლა კი პრობლემა მოგვარებული მაქვს და თავს ძლიერ ფეხბურთელად მივიჩნევ“.

**პაპუნა ძედია**

# იუვენტუსმა ოლივიე შეუკვეთა

## კაპოს მისვლა ვის წასვლას ნიშნავს?



ოლივიე კაპო ახალი სეზონიდან „იუვენტუსის“ მაისურას მოირგებს

„ოსერის“ ფორვარდმა, ოლივიე კაპომ „იუვენტუსთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. როგორც ცნობილი ფრანგული ჟურნალი „ფრანს ფუტბოლი“ აცხადებს, კაპოს სამედიცინო შემოწმებაღა აქვს გასავლელი.

საინტერესოა, რომ „იუვეს“ 23 წლის კაპო არაფერი არ დაუჯდება, რადგან „ოსერთან“ მის ხელშეკრულებას ვადა ახლა გაუდის. მოსალოდნელია, რომ როდესაც საბოლოოდ მოგვარდება ყველაფერი, ანუ კაპო იმ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და პრეზენტაციითაც წარსდგება იტალიური პრესის წინაშე, „ბებერი ქალბატონი“ თავისი თავდამსხმელებიდან რომელიმეს გაჰყიდის. ყველაზე სავარაუდოა, რომ გაასხვისონ მარსელო ზალაიეტა, რომელიც დღეს „პერუჯაშია“ განათხოვრებული, ან დავიდ ტრეზეგესა და მარკო დი ვაიოს შორის ერთი.

კაპომ ამ სეზონში, 21 შეხვედრაში მხოლოდ ერთი გოლი გაიტანა.

**პაპუნა ძედია**

*ნიკოლა ანელკას ნაკრების მწვრთნელები გულზე არასოდეს ეხატებოდნენ. ჭირვეული ფრანგი 1998 წელს ემე ჟაკემ არ აიყვანა, 2000-ში და 2002-ში როჟე ლემერმა იუკადრისა. ანელკასაც ხვეწნა არავისთვის დაუწყია*

# ბოდიშის ანონსი

## ანელკა საფრანგეთთან შერიგებისთვის ემზადება



ფორვარდმა ბოლო სანაკრებო მატჩი 2002 წლის აპრილში რუსეთთან ამხანაგურად ითამაშა. იმავე წლის შემოდგომაზე ჟაკ სანტინიმ დაუძახა, მაგრამ ანელკამ იუარა. მოგვიანებით, ფეხბურთელმა თქვა, ნაკრებში იმ შემთხვევაში დავბრუნდები, თუ მწვრთნელი მუხლმოყრილი მომიბოდიშებსო.

ნიკოლა ანელკა და ჟაკ სანტინი გაიბუტნენ. საფრანგეთის ნაკრებმა ევრო 2004-ის შესარჩევში ჭირვეული ფორვარდის გარეშე ბრწყინვალედ ითამაშა და პორტუგალიის საგზური მოიპოვა.

| ფერარი | 1,3 |
| უილიამსი | 2,45 |
| მაკლარენი | 5,6 |
| რენო | 6,0 |
| ბარი | 21,0 |
| ტოიოტა | 60,0 |
| იაგუარი | 54,0 |
| ზაუბერი | 50,0 |
| ჯორდანი | 93,0 |
| მინარდი | 150,0 |

## ჩემპიონები და თასის აღება

**9001**

**ინგლისი (20.03)**

| | |
|---|---|
| არსენალი | 1,01 |
| მანჩესტერი | 8,0 |
| ჩელსი | 15,0 |

**9002**

**გერმანია (20.03)**

| | |
|---|---|
| ვერდერი | 1,1 |
| ბაიერნი | 3,5 |
| შტუტგარტი | 25,0 |

**9003**

**იტალია (20.03)**

| | |
|---|---|
| მილანი | 1,05 |
| რომა | 7.0 |
| იუვენტუსი | 15,0 |

**9004**

**ესპანეთი (20.03)**

| | |
|---|---|
| რეალი | 1.05 |
| ვალენსია | 5,0 |
| ბარსელონა | 12,0 |
| დეპორტივო | 50,0 |

**9005**

**საფრანგეთი (.20.03)**

| | |
|---|---|
| მონაკო | 1,3 |
| ლიონი | 2,8 |
| პსჟ | 7,0 |

**9006**

**პორტუგალია (20.03)**

| | |
|---|---|
| პორტუ | 1,01 |
| სპორტინგი | 10,0 |

**9007**

**ჰოლანდია (20.03)**

| | |
|---|---|
| აიაქსი | 1,01 |
| პსვ | 6,5 |

**9008**

**ავსტრია (17.03)**

| | |
|---|---|
| აუსტრია | 1,65 |
| რაპიდი | 3,2 |
| გრაცერი | 3,0 |

**9009**

**დანია (20.03)**

| | |
|---|---|
| ბრიონდბიუ | 1,65 |
| ესბიერგი | 2,0 |
| კოპენჰაგენი | 3,6 |

**9010**

**საბერძნეთი (20.02)**

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 1,75 |
| პანათინაიკოსი | 1,75 |

**9011**

**უკრაინა (20.03)**

| | |
|---|---|
| შახტარი | 1,4 |
| დინამო | 2,3 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (23.03)**

**რომელი ქვეყნის გუნდი აიღებს თასს**

| | |
|---|---|
| ინგლისი | 2,0 |
| იტალია | 3,6 |
| ესპანეთი | 2,4 |
| საფრანგეთი | 8,5 |
| პორტუგალია | 10,0 |

**9021**

**ჩემპიონთა თასი (23.03)**

| | |
|---|---|
| რეალი | 3,3 |
| არსენალი | 3,6 |
| მილანი | 3,6 |
| ჩელსი | 5,0 |
| დეპორტივო | 9,0 |
| პორტუ | 10,0 |
| ლიონი | 15,0 |
| მონაკო | 20,0 |

**9023**

**უეფას თასი (25.02)**

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 5,0 |
| ინტერი | 5,0 |
| ვალენსია | 5,0 |
| ნიუკასლი | 5,0 |
| რომა | 6,0 |
| სელტიკი | 10,0 |
| მარსელი | 10,0 |
| ბორდო | 12,0 |
| პსვ | 12,0 |
| ვილიარეალი | 12,0 |
| ოსერი | 20,0 |
| ბენფიკა | 25,0 |
| გენჩლერბირლ. | 30,0 |
| ბრიუგე | 40,0 |
| მალიორკა | 50,0 |

**9031**

**NHL (05.04)**

| | |
|---|---|
| კოლორადო | 4,0 |
| დეტროიტი | 5,0 |
| ფილადელფია | 5,5 |
| ვანკუვერი | 6,0 |
| ნიუ ჯერსი | 6,5 |
| ოტავა | 7,0 |
| ტორონტო | 6,0 |
| დალასი | 12,0 |
| სტ.ლუისი | 25,0 |
| სან ხოსე | 15,0 |
| ტამპა ბეი | 10,0 |
| ბოსტონი | 18,0 |
| ლოს ანჯელესი | 25,0 |
| კალგარი | 30,0 |
| აილენდერსი | 40,0 |
| მონრეალი | 40,0 |
| ნეშვილი | 40,0 |

**9032**

**NBA (15.04)**

| | |
|---|---|
| ლეიკერსი | 2,0 |
| საკრამენტო | 3,5 |
| სან ანტონიო | 5,0 |
| მინესოტა | 6,0 |
| დალასი | 8,0 |
| ინდიანა | 10,0 |
| ნიუ ჯერსი | 12,0 |
| დეტროიტი | 15,0 |
| ნიუ ორლეანი | 30,0 |
| ჰიუსტონი | 50,0 |
| ნიუ იორკი | 60,0 |
| ფილადელფია | 75,0 |
| ბოსტონი | 75,0 |
| დენვერი | 75,0 |
| ტორონტო | 75,0 |
| მილუოკი | 75,0 |
| მემფისი | 75,0 |
| პორტლენდი | 100,0 |

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# მე ნამდვილი ვარ!

## მაკგრეიდიმ ბრაიანტს თითქმის მოუგო



ტრეისი მაკგრეიდის სულ ცოტა დააკლდა კობი ბრაიანტის გასავლელად

— 15 მარტი —

**ლეიკერსი 113:110 ორლანდო**

ძირითადი დრო 102:102

**ლეიკერსი:** პეიტონი (12), ბრაიანტი (38), ფოქსი (4), მელოუნი (9), ონილი (27 ქულა, 23 მოხსნა, 5 დაფარება); ფიშერი (11), რასელი (7), ჯორჯი (3), მედვედენკო (2), რაში, უოლტონი

**ორლანდო:** ლუ (8), სტივენსონი (18), მაკგრეიდი (37 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), ჰოვარდი (29), დეკლერკი (4); ბოგანსი (6), რუქსი (6), გუდენი (2), ფაჩულია (4 წუთი, 0 ქულა), იონსენი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ბრჭყვიალა, მაგრამ მტრულ სამყაროში „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ცოტა მოშურნე არ დაეთვლება. ბევრს სურს 14-გზის ჩემპიონთა საშუალოებში ხილვა, მაგრამ ფაქტი ჯიუტია და თვალსაჩინო — პრობლემების მიუხედავად „ლეიკერსი“ ჯერაც დიდი გუნდია და პლეი ოფში მისი ჩამოწერა უგუნურება იქნება. ფილ ჯექსონის მექანიზმი ისე გამართულად ვერ მუშაობს, როგორც ორი-სამი წლის წინ და ბევრ წაგებასაც გამოიმუშავებს, მაგრამ ამით თავს ვინ მოიტყუებს.

ყველა გუნდი ვერ ახერხებს ბოლო მეოთხედში ანგარიშში 15-ქულიანი გარღვევის შევსებას, ბევრისთვის პირველ მეოთხედში ჩამორჩენაც კი მარცხს ნიშნავს, „ლეიკერსს“ კი ჩვეულებად ექცა სხვაობის ხევიდან სირბილით ამოსვლა.

„ორლანდო“ მესამე მეოთხედის ბოლოს 19 ქულას უგებდა ექსჩემპიონს. აი, ერთი, სუსტი გუნდისგან ძლიერი მეორის დაბრიყვების პირველადი ახსნა — „ორლანდოს“ ლეიდერს ტრეისი მაკგრეიდის ხელფეხი კარგად გაპოხილი მექანიზმივით მუშაობდა, მოწინააღმდეგე რაზმის წინამძღოლი კობი ბრაიანტი კი ჟანგიანივით ჭრიალებდა და მთელი სამი მეოთხედი მხოლოდ 12 ქულა გამოემუშავებინა. მაკგრეიდის პირად ანგარიშზე 32 ქულა იყო.

ბრაიანტმა მეტოქის დამანგრეველი საქმიანობა ბოლო მეოთხედში დაიწყო. „მას უნდოდა, რომ დაცვაში მაკგრეიდისთვის ემეურვევა — ყვება ფილ ჯექსონი — მე ვუთხარი, შეტევაში გვჭირდები და რაღა მაკგრეიდის განეიტრალებას უნდა შეალიო მთელი ენერგია-მეთქი, მაგრამ თავისი არ დაიშალა.“

ბრაიანტს ესეც გამოუვიდა და ისიც, სამი დღის წინ ერთ თამაშში 62 ქულის ჩამგდებმა მაკგრეიდიმ ახლა ბოლო მეოთხედში ველარაფრით მოიშორა მიტმასნილი ბრაიანტის გრძელი ხელები და მონაგარს ბევრი ვერაფერი მიამატა. ამ დროს კი ბრაიანტი ბურთს ბურთზე აგდებდა და სხვაობას ხარბად ნთქავდა. მან ჩააგდო „ლეიკერსის“ ბოლო 15 ქულა, სულ კი მეოთხედში 24 ქულა მოუგროვდა და „ლეიკერსის“ საკლუბო რეკორდი გაიმეორა — 1960 წელს ელჯინ ბეილორმა ერთი თამაშის ბოლო მეოთხედში ამდენივე ქულა ჩააგდო. ეს რეკორდი ორი წლის შემდეგ გაიმეორა ჯერი ვესტმა.

„ჰა, რას იტყვით, დიდებულ კომპანიაში მოვხვდი, არა?“ — მშვენიერ ხასიათზე იყო კობი ნამატჩევს. მისი წყალობით „ლეიკერსმა“ კიდევ ერთი წაგებული მატჩი შემოატრიალა და ოვერტაიმში მეტოქეს გამარჯვება ააცილა. ესაა დიდი გუნდის და დიდი მოთამაშეების თვისება. და საერთოდაც, უკვე დროა, ბრაიანტი ლეგენდებში ჩაიწეროს. 26 წლის ასაკში მან უკვე ძალიან ბევრი მოასწრო იმისთვის, რომ საბავშვო რჩეულ ვარსკვლავებში ჩატოვონ. რვა სეზონში ბრაიანტს ჯერ არ დაუკარგავს თამაშის ხალისი უამრავი შინაგანი თუ გარეგანი პრობლემების მიუხედავად.

მისმა კბილა ტრეისი მაკგრეიდიმ თითქმის შეძლო კობის ჯობნა. ბოლო მეოთხედის დამთავრებამდე 44 წამით ადრე ბრაიანტმა 102:102 რომ გაათანაბრა, მაკგრეიდიმ და მან თითო ფუჭი სროლები გაცვალეს და შემდეგ ისევ ორლანდოელი მზეჭაბუკის ჯერი დადგა. მაკგრეიდის ძალიან ცოტა დრო ჰქონდა: 1,8 წამში ბრაიანტის მარწუხებისგან თავი უნდა დაეძვრინა, ბურთი მიეღო და თავისთავად სროლა უნდა მოესწრო. ეს ყველაფერი თითქმის მოახერხა, მაგრამ საქმის თითქმის გაკეთება არც ნბა-ში ითვლება. მაკგრეიდიმ სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ არ ჩაითვალა, რაკი საფინალო სირენამდე ბურთთან განშორება ვერ მოასწრო.

„ჩვენ კიდევ შევხვდებით — ამბობდა მაკგრეიდი ნამატჩევს — ეს გამოწვევაა, სულ სხვა დონეზე და მე ვიღებ მას.“

**კოტე ყორშია**

**გოლდენ სტეიტი 97:80 სან ანტონიო**

**გოლდენ სტეიტი:** რიჩარდსონი (22), დანლივი (19), დამპიე (16)

**სან ანტონიო:** პარკერი (29), ჯინობილი (16)

**ჰიუსტონი 97:99 ფინიქსი**

**ჰიუსტონი:** მინგი (29 ქულა, 19 მოხსნა, 6 დაფარება), ჯეკსონი (23), მობლი (20)

**ფინიქსი:** მერიონი (29), სტუდემაიერი (24 ქულა, 15 მოხსნა)

# არ გინდივართ? კარგად იყავით!

## ბოისა გერმანულ ზაფხულს და აჭარაში მშვიდობას ელოდება

*გერმანიიდან ახლახან დაბრუნდა ანატოლი ბოისა, რომელიც ვეისენფელსის „მიტელდოიჩერში“ გასინჯვაზე იმყოფებოდა. გერმანელებს ტოლიკას დანახვაზე თვალები არ დაუჭყეტიათ, ეს ვარ ვნახევო, ქვედა ლიგის „ჰალეში“ შესთავაზეს თამაში, აქაურ კალათბურთს გაეჩვიე და მომავალი სეზონისთვის ეგებ „მიტელდოიჩერშიც“ აგიყვანოთო. ბოისას გერმანელთა ასეთი წინადადება ჭკუაში არ დაუჯდა და დანაღმულ აჭარაში გამობრუნდა, სადაც მას „ბასკო“ ელის*



— „მიტელდოიჩერში“ მოხვედრის შანსი არ გქონდა?

— თითქმის არა, გუნდი უკვე დაკომპლექტებულია და რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდეც 5 მატჩი რჩებოდა.

— მაშ, რა აზრი ჰქონდა გერმანიაში წასვლას?

— ადრეც ვთქვი, რომ „მიტელდოიჩერში“ მოხვედრის მიზერული შანსი მქონდა. ჩემი ძმის აგენტის ხათრით წავედი, რომელმაც ვინ აღარ შეაწუხა, რათა მე გერმანიაში ჩავსულიყავი. თუ ამ გუნდში ახლა ვერ მოვხვდებოდი, სამომავლოდ მაინც შემიგულებდნენ, გამიცნობდნენ. ისე, რომ მდომოდა, გერმანიაში დავრჩებოდი, „მიტელდოიჩერის“ ხელმძღვანელობამ მეორე დივიზიონის გუნდში თამაში შემომთავაზა.

— კონკრეტულად რა დაგიწუნეს?

— ბუნდესლიგაში სათამაშოდ მეტი კლასი და გამოცდილება გინდაო. აგერ, „ჰალეში“ წადი, სათამაშო პრაქტიკას მიიღებ და თუ ზემო დივიზიონში გადასვლაში დაეხმარები, ჩვენთან მოხვედრის კარგი შანსი გექნებაო.

— და რატომ თქვი „ჰალეზე“ უარი?

— ჯერ ერთი, იქ მიზერული ხელფასი უნდა გადაეხადათ, თანაც „ჰალე“ „ბასკოზე“ გაცილებით სუსტი და დაბალი დონის გუნდია. ასეც თითქმის იგივე გამოდის, სეზონის ბოლომდე „ბასკოში“ ვითამაშებ და „მიტელდოიჩერი“ არც ზაფხულში მეტყვის გამოსაცდელ ვარჯიშებზე უარს.

— თუ არ რჩებოდი, ორი კვირა რაღაზე იყავი გერმანიაში?

— მინდოდა, „მიტელდოიჩერის“ უფროსობისთვის ვარჯიშებზე დამემტკიცებინა, რომ არ ვარ დასაკარგი კაცი. ძირითადად ამ გუნდში ვვარჯიშობდი, „ჰალეში“ კი სულ ორჯერ ვიყავით მე და კიდევ ერთი ხორვატი კალათბურთელი.

— ბოლოს რა პირობით დაშორდი გერმანელებს?

— რომ ზაფხულში ისევ ჩავალ და სეზონთაშორის პერიოდში ვეცდები „მიტელდოიჩერში“ მოხვედრას. ისე, გერმანელებს არ ეგონათ, თუ საქართველოში დავბრუნდებოდი. ფიქრობდნენ, არც „ჰალეზე“ იტყვის უარსო.

— გერმანიაში ზაფხულში დაბრუნდები, აკი ამერიკაშიც აპირებდი წასვლას, კალიფორნიის ერთ-ერთი უნივერსიტეტის გუნდშიც ხომ გელიან?!

— თუ ბუნდესლიგაში დავმკვიდრდი, ამერიკაში რაღა მინდა. პროფესიული კალათბურთის თამაში მიჯობს სამოყვარულოს.

— მაშ, სეზონის ბოლომდე საქართველოში ითამაშებ...

— ჰო, ბათუმის „ბასკოში“.

— კმაყოფილი ხარ „ბასკოთი“?

— კლუბით კი, აჭარაში შექმნილი სიტუაციით, არა...

— „მაკაბისთან“ ხვალ ბათუმში გასამართი მატჩი გადაიდო, თუ ვარჯიშობთ მაინც...

— როგორ არა, ვარჯიშით ვვარჯიშობთ, მაგრამ რომელი გუნდი ჩამოვა ასეთ ვითარებაში აქ სათამაშოდ? იმედია, ყველაფერი მალე დარეგულირდება და ბათუმში კალათბურთიც გახურდება.

**ირაკლი პერტაია**

საქართველოს ჩემპიონატი

17 მარტი. ვერის ბაღი

# სტუ VS თსუ

## ზოგს გული ერჩის, ზოგს გული აწუხებს

„სტუ-ჯეოსელს“ დღეს მწვრთნელზე მეტად ერთი კარგი ტრავმატოლოგი ესაჭიროება. თავად განსაჯეთ: ზვიად ბაბიაშვილს ფეხი აქვს მოტეხილი, შიო ხეცურიანს ლავიწი, ალეკო დავითულიანს კი ნეკნი. ეს სტუ-ს გამოკლებულ კალათბურთელთა არასრული სიაა, არმენ ოგანესიანს გულზე აქვს პრობლემები, გიორგი ნიკოლაძეს კი ტვინის შერყევა მიუღია იოლ ფორმებში.

ასეთ ექსტრემალურ ვითარებაში ხვდება „სტუ-ჯეოსელი“ სტუდენტურ დერბის, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდსაც აკლია ხალხი — გიგი ნაცვლიშვილი და ნუგზარ კოკოლიშვილი ჯანზე ვერ არიან. მოკლედ, დღეს განახევრებული სტუ ბოლო მატჩებში ყველასაგან დაჩაგრულ თსუ-ს შეხვდება.

ეს ყოველივე ამ გუნდების წარმომადგენლებმა გუშინ კაფე „მსოფლიო სპორტში“ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე გვამცნეს. ჟურნალისტებთან შეხვედრა დიდხანს არ გაგრძელებულა, თსუ-სა და სტუ-ს თავკაცებმა ძირითადად საკუთარ დაშავებულ მოთამაშეებზე ილაპარაკეს, შემდეგ კი ოპტიმისტური განცხადებებიც არ დაივიწყეს.

**ნუგზარ ჭეიშვილი**, სტუ-ს მთავარი მწვრთნელი: „მიუხედავად ამხელა დანაკლისისა, თსუ-სთან ბოლომდე ბრძოლასა და მოგებას ვაპირებთ. ჩვენს შორის მუდამ პრინციპული მატჩები იმართებოდა და ასე იქნება ხვალაც. ვეცდებით, ლამაზი კალათბურთი ვითამაშოთ და მაყურებელი არ გავაწბილოთ.

**მამუკა ტურაშვილი**, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი: „ჩვენც არაერთი მოთამაშე გვაკლია, მაგრამ სტუ-სთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ვართ. ამ მატჩს დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ამდენი წაგების შემდეგ გამარჯვება ძალიან გვჭირდება. ბოლოდროინდელი ჩავარდნის გამო პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, წარუმატებლობა გარკვეულწილად ჩემი ბრალიცაა. მთავარი მწვრთნელის პოსტზე ახლახან დავინიშნე და სიტუაციაში გასარკვევად დრო დამჭირდა. ისე, ტრავმებმაც დაღი დაასვა ჩვენს შედეგებს, სხვადასხვა დროს თითქმის ყველა მოთამაშე უჩიოდა ჯანმრთელობას.“

**ირაკლი პერტაია**



მამუკა ტურაშვილი

# მიიღეთ ჩვენგან ბოდიში და ლიცენზია

## ხასაიას ოცნება აღუდგინეს

*ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეთა ბოლო სალიცენზიო ტურნირზე ბადრი ხასაიას „ჩაგვრას" ნერტილი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ ახლო მომავალში უნდა დაუსვას. ქართველების პროტესტზე ფილა-ს ვერდიქტი ჯერ არ გამოუტანია, მაგრამ საქმეს ისეთი პირი უჩანს, ყველაფერი ქართველებისთვის სასიკეთოდ გადაწყდება და ნაკრების მწვრთნელი ბეგი დარჩია ათენში სრულ გუნდს წაიყვანს. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის თავკაც გოჩა ძასოხოვს უსამართლობის შესახებ ჭიდაობის სამყაროში პირველი კაცისთვის რაფაელ მარტინეტისთვის მეყსეულად უცნობებია. მოგვიანებით მსაჯ-კომისრებთან ერთად ვიდეოფირიც უნახავს და იმის მომსწრეც გამხდარა, მაღალჩინოსნებმა ბულგარელი მსაჯი როგორ დატუქსეს.*
*გუშინ თბილისში დაბრუნდნენ დარჩია, ხასაია და ოლიმპიური გუნდის ექიმი ზურაბ კახაბრიშვილი. ძასოხოვი კი ერთი დღით უზბეკეთში შეყოვნდა საქმის ბოლომდე მისაყვანად*



ბადრი ხასაია ალბათ წავა ათენში

**ბეგი დარჩია**

— ხასაია ჩვენი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია და მისი ულიცენზიოდ დარჩენა არაფრით არ შეიძლებოდა. მძიმე ტრავმის მიუხედავად, ძლიერ მეტოქეებს არაფერი დაუთმო და რომ არა ბულგარელი მსაჯის არაობიექტურობა, ნახევარფინალშიც დამსახურებულად უნდა გასულიყო.

**— პროტესტის ასეთი ზომა რატომ დაგჭირდათ, ტურნირზევე სიმართლის პოვნა შეუძლებელი იყო?**

— თბილისში ჩამოსულმა შევიტყვე, თითქოს, ფილა-ში გვიჩივლია. მსგავსი არაფერი მომხდარა, თუმც არც ჩვეულებრივი პროტესტი ყოფილა. უკვე დამკვიდრებული წესია, ყველა შეხვედრას ვიდეოკამერა იღებს. სადავო ეპიზოდის გაპროტესტება კი იქვე შეიძლება. ბადრის სუფთა ორი ქულა წაართვეს. მაშინვე მივცვივდით მსაჯს და მომენტის ნახვა ვითხოვეთ, მან კი შეხვედრის გაგრძელება ბრძანა. უსამართლობა იმდენად აშკარა იყო, ძასოხოვი მეორე დღეს ტაშკენტში ჩამოსულ ფილა-ს პრეზიდენტ რაფაელ მარტინეტს დაელაპარაკა.

**— ბულგარელმა მსაჯმა არც შეხვედრის შემდეგ აღიარა შეცდომა?**

— მან თავიდანვე იცოდა, რომ არასწორად მოიქცა. მოგვიანებით კასეტას მასთან და ტურნირის კომისარ ყაზარიანითან ერთად ვუყურე. ყაზარიანმა მსაჯს შეურაცხყოფაც კი მიაყენა.

**— თქვენი აზრით, ვის აძლევდა ხელს ხასაიას დაჩაგვრა?**

— ყირგიზებზე მეტად მისი ულიცენზიოდ დარჩენა ალბათ ბობოლა ქვეყნებს უნდოდათ. ამით ხომ მედლის ერთ-ერთ პრეტენდენტს იცილებდნენ.

**— ბადრიმ საკმაოდ ძნელი ქვეჯგუფი გადალახა. თუ მისი ულიცენზიოდ დატოვება უნდოდათ, უფრო ადვილი არ იქნებოდა, საქმე თავიდანვე მოეთავებინათ?**

— ჯგუფში მართლაც ძლიერი მეტოქეები შეხვდა ევროპის სომეხი პრიზიორისა და პანამერიკული თამაშების ამერიკელი ჩემპიონის სახით. ხასაიამ ტაშკენტის წინა ტურნირი ტრავმით დაასრულა, ახლაც ფეხს იტკივებდა და ალბათ იფიქრეს, ისევ ტრავმა შეუშლიდა ხელს. ჩემი აზრით, არ ეგონათ, თუ ქვეჯგუფს გაივლიდა და რომ მოახერხა, დაჩაგვრაზე შემდეგლა იფიქრეს.

**— ფილა-ს ოფიციალური პასუხი როდის გახდება ცნობილი?**

— ალბათ უახლოესი ერთი თვის განმავლობაში. მართალია, უკვე თითქმის დარწმუნებულები ვართ, რომ ხასაიას ოლიმპიადაზე წავიყვანთ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ დავმშვიდდებით, რაც ოფიციალურ წერილს მივიღებთ.

**— ამდენი დრო რა საჭიროა. ვიდეოფირი კიდევ ერთხელ ხომ არ უნდა ნახონ?**

— არა მგონია, ეს საჭირო გახდეს. კომისარმა უკვე ნახა და მის სიტყვას ენდობიან. კასეტა კი ამჟამად თბილისშია.

**ბადრი ხასაია**

— ბულგარელი მთავარი მსაჯი კომპიუტერთან იჯდა. ყირგიზს 2:0-ს ვუგებდი. ამ დროს სამქულიანი ილეთი გამიკეთა და იქვე ორიანით ვუპასუხე. ხალიჩის მსაჯმა ბულგარელს ანიშნა, ორივე ილეთი დაეფიქსირებინა, მან კი მხოლოდ მეტოქის ქულები ჩაწერა. სწორედ იმ ერთი ქულით წავაგე. დრო კიდევ მრჩებოდა და ცდა არ დამიკლია, მაგრამ ხელი ტრავმამაც შემიშალა.

**— ტკივილმა თავი ისევ შეგახსენა?**

— ყოველი შეხვედრის წინ გამაყუჩებლებს მიკეთებდნენ და ფეხს ვერ ვგრძნობდი. ასე ჭიდაობა მართლა ძალიან მიჭირდა, თუმც უკან დასახევი გზაც აღარ მქონდა. ბოლოს ფეხი საშინლად გამისივდა.

**— ბულგარელი მსაჯის შეცდომას რითი ახსნი?**

ნახევარფინალში ბულგარელს უნდა შევხვედროდი და შესაძლოა, მის მედალზე ფიქრობდა. მაგრამ ეს ერთ-ერთი ვერსიაა. შეიძლება, სხვა მიზეზიც იყო. ბრძოლის შემდეგ მსაჯები დაგვეხვივნენ და ბოდიშს გვიხდიდნენ, მაგრამ მათი ბოდიში ვილას სჭირდებოდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადრი ქოსტიაშვილის ფოტო

გოჩა ძასოხოვი

**— გაპროტესტება რომელიმე იქაურ მსაჯსაც ხომ არ ურჩევია?**

— ძასოხოვთან და დარჩიასთან ერთად ვიდეოფირს მსაჯებმა, კომისარმა და ფილას პრეზიდენტმაც უყურეს და ერთადვე მიიღეს გადაწყვეტილება, საპროტესტო წერილის თაობაზე. როგორც ამბობენ, საგანგაშო აღარაფერია.

**— პროტესტის დაკმაყოფილების შემდეგ ლიცენზიას ყირგიზ მოჭიდავეს ჩამოართმევენ?**

— ალბათ არა. ფილა-ს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ამ შემთხვევაში გამონაკლისს დაუშვებენ. არსებობს ორი დამატებითი ლიცენზია, რომელსაც ქვეყნებს საჩუქრად აძლევენ და შეიძლება მის ხარჯზე დამამატონ.

**— ფეხი როგორღა გაქვს, ოპერაცია ხომ არ დაგჭირდება?**

— ჯერ არ ვიცი, შესიებული მაქვს და წესიერად ვერ ვამოძრავებ. მენისკია, ეს ადრევე გაირკვა, მაგრამ რამდენად მძიმე, გამოკვლევის ჩატარების შემდეგ მეტყვიან. ექოსკოპიას ხვალ გადავიღებ. რახან ტრავმაზე მკითხეთ, მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ზურაბ კახაბრიშვილსა და პალიკო კასრაძეს ვუთხრა მადლობა. რომ არა ეს ხალხი, ტაშკენტის ტურნირამდე ფეხზე დადგომის პატარა შანსიც არ მექნებოდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**



*20 მარტი ახლოვდება, ბორჯღალოსნები ერთა თასის მეოთხე ტურში ჩეხეთის ნაკრების მისაღებად მცხეთაში ემზადებიან. რადგან ჩეხები შედარებით სუსტ მეტოქედ ითვლებიან, ნაკრების მესაჭეებმა კვლავ უბოძეს დასვენების ნება ნაკრებში თამაშში დაღლილ ძველ მეომრებს და რამდენიმე ახალბედას გამოცდაზე უხმეს. საჩეხეთო ამბებზე გვესაუბრება რაგბის კავშირის პრესატაშე გია კუბლაშვილი*

# რუსეთს გავეყარეთ, რუსულს შევეყარეთ

## ჩეხებს საქმეც უყვართ და ძალაც ერჩით

**— იცით თუ არა რაიმე ბორჯღალოსნების მომდევნო მეტოქე ჩეხეთის ნაკრებზე?**

— ჩეხებზე რაც ვიცით და გვინახავს, იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ დამსახურებულად იმყოფება A ჯგუფში. ჩეხები ჰოლანდიელებს აშკარად სჯობნიან. სულ სხვაა მათი ტრადიციები, ფიზიკური მომზადება... ჰოლანდიის ნაკრები უფრო სამოყვარულო რაგბის თამაშობს. სწორედ ამიტომაც აჯობეს ჩეხებმა და ერთა თასზეც მოხვდნენ.

**— მოწინააღმდეგე გუნდში რამდენიმე ლეგიონერიცაა...**

— ვიცით, რომ მათი რამდენიმე მორაგბე საფრანგეთში და ინგლისში თამაშობს. მათ მე-10 ნომერს გამოვარჩევდი, უდავოდ პროფესიონალია.

**— ვის სტილს მიამსგავსებდით ჩეხების რაგბის?**

— ალბათ უფრო რუსეთის ნაკრებისას და ამიტომაც ვფიქრობ, მათთან ჭიდილი იოლი არ უნდა იყოს. მით უმეტეს, რომ ბორჯღალოსნები რამდენიმე ახალბედა მორაგბით ითამაშებენ.

**— ესპანელებისა და ჩეხების დონე დიდად განსხვავდება?**

— არა, შარშან ჩეხებმა ესპანელებიც დაამარცხეს და, სხვათა შორის, რუსებიც. „დათვებისთვის" ამ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

**— ჩვენს ნაკრებში არაერთი ახალბედა ითამაშებს...**

— შკინინი, პინჩუკოვი, პაპაშვილი, ჟღენტი, ასევე ნიკო ჭავჭავაძეც. მაგრამ ჭავჭავაძე ახალგაზრდა არაა და გამოცდილებით საჭირო ატმოსფეროს შექმნის გუნდში.

**— მოწინააღმდეგის მატჩები ნანახი გაქვთ?**

— სამწუხაროდ, ვერ მოვიპოვეთ წლევანდელი ფირი, თუმცა შარშანდელმა ფირმა საკმაო შთაბეჭდილებები დაგვიტოვა. კარგად ჩანს, რომ გუნდმა იცის, რას აკეთებს, საკმაოდ დისციპლინირებულია. მთლიანობაში ჩეხები უფრო ძალისმიერ რაგბის თამაშობენ. საერთოდ ჩვენს ჯგუფში მყოფ გუნდებს ნაკლებად გამოსდით სანახაობრივი რაგბი. რუმინეთმაც კი შეიძლება მხოლოდ 3-4 წუთიან მონაკვეთში გამოიჩინოს თავი გრანდებთან მიახლებული კომბინაციებით.

**— ჩეხებთან შეხვედრა ფაქტობრივად რუმინეთის წინა შესამზადებელ თამაშად ჩაითვლება...**

— ჩვენ ნებისმიერ ვარიანტში მესამე ადგილზე ვიქნებით, ორი წლის ჯამში ასე გამოგვდის. თუმცა რუმინეთთან გვჭირდება მოგება, როგორც იცით, პირადი ანგარიშები გვაქვს.

**— რუმინეთთან ალბათ სრულ შემადგენლობას დაუხაძებთ...**

— როგორც რუსეთთან იყო, რუმინეთთანაც ძველი გვარდია ჩაებმება ბრძოლაში.

**— „ძველ გვარდიაში" ვის გულისხმობთ?**

— დიდებულიძეს, მჭედლიშვილს, ჯიმშელაძეს, აგრეთვე შესაძლოა ჯაველიძესა და მაისურაძეს. ესენი ჩეხეთთან თამაშზე ვერ ჩამოდიან. „მუხის ფოთლებთან" შეხვედრის წინ კი გაივლიან მზადებას და ითამაშებენ.

**— ლევან ცაბაძეს რატომ არ ეძახით?**

— ცაბაძესთან დიდი ხანია, გარკვეულია სიტუაცია. მან თვითონ დაწერა ბევრ გაზეთში, რომ დაიღალა და ყოველ შემთხვევაში წლეულს ნაკრებში თამაშს ვერ შეძლებს. მწვრთნელებიც პატივს სცემენ მის გადაწყვეტილებას და ზედმეტად აღარ აწუხებენ.



ნინო ლეჟავას ფოტო

გია კუბლაშვილი

**— როგორც ვიცით, ნაკრები ახლა მცხეთაში, საკმაოდ პრესტიჟულ სასტუმროშია. გადასახადის დაფარვა ხომ არ გიჭირთ?**

— რა თქმა უნდა, შეღავათები გვაქვს, თორემ რას გავწვდებოდით. სამწუხაროა, რომ ერთა თასი მთავრდება და მთავრობისგან არანაირი დახმარება არ გვაქვს.

**— პირველი ორი მატჩის უიღბლობამ გულშემატკივრის ნაკლებობა ხომ არ გამოიწვია?**

— ძალიან გაგვიკვირდა, როდესაც რუსეთთან მოვიგეთ და პრესაში უფრო კრიტიკული წერილები გამოქვეყნდა, ვიდრე დადებითი. აქცენტი თამაშის ხარისხზე უფრო გაკეთდა და ნაკლებად იმაზე, თუ რა შედეგით დასრულდა მატჩი. ეს, ცოტა არ იყოს, გასაკვირია ჩვენთვის და თუ ასეთ კონტექსტში გაგრძელდება ჩვენი კრიტიკა, მაყურებლის სიმპათია იკლებს. არადა, განვლილი წლების განმავლობაში პრესამ ლომის წილი დაიდო რაგბის პოპულარიზაციის საქმეში. მისი მხარდაჭერით, ბუნებრივია, ბევრი მაყურებელი შევიძინეთ. მოდით, ერთად დავდგეთ. ჩვენც ყველანაირად ვეცდებით, რომ იმედები არ გაგიცრუოთ.

**ნინო ლეჟავა**

# ლაბაძემ არაზისაც გადაუხაზა

**PACIFIC LIFE OPEN**
ინდიანი უელსი
მაგარსაფარი. კაცები
საპრიზო 2,78 მილიონი $

### მესამე წრე

**ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 6:3, 6:4; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ფერნანდო გონსალესი (25, ჩილე) 6:3, 6:2; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — მარატ საფინი (30, რუსეთი) 7:6 (8:6), 6:2; **გილერმო კორია** (4, არგენტინა) — მაქს მირნი (227, ბელარუსი) 6:4, 7:5; **ანდრე აგასი** (5, აშშ) — დომინიკ ჰრბატი (31, სლოვაკეთი) 6:2, 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (9, ბრიტანეთი) — ალექს კორეჩა (ესპანეთი) 6:4, 6:4; **სებასტიან გროჟანი** (13, საფრანგეთი) — რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) 6:7 (4:7), 6:4, 6:4; **მარდი ფიში** (18, აშშ) — ირჟი ნოვაკი (16, ჩეხეთი) 6:3, 6:4; **ნიკოლა ესკუდი** (საფრანგეთი) — ვინს სპედია (21, აშშ) 3:6, 6:4, 7:6 (7:5); **აგუსტინ კალიერი** (22, არგენტინა) — რაფაელ ნადალი (ესპანეთი) 6:4, 3:6, 7:6 (7:1); **ტომი ჰაასი** (გერმანია) — ალბერტ კოსტა (23, ესპანეთი) 7:6 (7:4), 3:6, 6:3

ფრანგ თიერი ასიონესა და ტურნირზე მეშვიდე ნომრად განთესილი კარლოს მოიას ძლევის შემდეგ ირაკლი ლაბაძემ 31 წლის მაროკოელი ჰიშამ არაზიც დაიმორჩილა. ეს მათი პირველი შეხვდა იყო და საქმეში თუნდ ჩაუხედავი მკითხველიც მხოლოდ ანგარიშიდანვე დაატყობს — ქართველმა მეჩოგნემ გამოცდილი მეტოქე ყოველგვარი გართულების გარეშე მოაშთო. მომდევნო წრეში ლაბაძე 28 წლის არგენტინელ აგუსტინ კალიერის შეხვდება, ვისთანაც აქამდე ერთხელ, შარშანდელ მოსკოვხალიჩობაზე უპაექრია და 4:6, 6:3, 1:6 დამარცხებულა. კალიერი წლეულს რიგიანად თამაშობს და აქტივში დოჰაურ ნახევარფინალსა და კოსტე დუ საუიპურ ფინალში თამაშს მოიძევს.

სხვაფრივ: დღის ცენტრალურ მატჩში ერთმანეთს ამქრის ყოფილი პირველოსნები — ენდი როდიკი და მარატ საფინი ერკინენ. როდიკმა რუსთათარს ავსტრალიის ღია პირველობაზე უდაძაბულესი ხუთსეტიანი განდაგანა დაუთმო და, ცხადია, ყველაფერთან ერთად რევანშის წყურვილიც აჩოგნავებდა. ამ ჯერზე ბრძოლამ მხოლოდ პირველ სეტს გასტანა, მეორეში კი ენდიბოიმ უკვე უპრობლემოდ გაიპარპაშა და 23-ე საამსეზონო მატჩში მე-19 გამარჯვება მიითვალა.

დასრულდა ლეიტონ ჰიუიტის ორწლიანი ინდიანუელსური თავადობა. ორგზის ტიტულდამცველ ოზის ჩოგანი სრულიად მოულოდნელად არგენტინელმა ხუან იგნასიო ჩელამ მოუგრიხა. არადა, ჰიუიტს შანსი ჰქონდა, ამქრიდან პირველს მოერეწა ზედიზედ მესამე ინდიანუელსური ტიტული.



ირაკლი ლაბაძე ინდიან უელსის მერვედფინალშია

ამჟამინდელმა უსტაბაშმა როჯერ ფედერერმა და საპატიო ოღრაშმა ანდრე აგასიმ კი მეოთხე წრეს ფიორა ოფლის დაუღვრელად უწიეს. პირველმა ლონიერ ჩილელ გონსალესს 63 წუთში გადაუარა, მეორემ კი წლეულს უკვე სამი (ადელაიდური, ოკლენდური და მარსელური) ტიტულის მომხვეჭი დომინიკ ჰრბატის წუთით მეტი მოანდომა.

### ქალები. საპრიზო 2,1 მილიონი $

### მესამე წრე

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (1, ბელგია) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:1, 6:2; **ანასტასია მისკინა** (4, რუსეთი) — მარია ვენტო-კაბჩი (31, ვენესუელა) 2:6, 6:4, 6:3; **ბარბარა შეტი** (ავსტრია) — პაოლა სუარესი (8, არგენტინა) 6:3, 6:4; **კონჩიტა მარტინესი** (11, ესპანეთი) — ლიზა რეიმონდი (18, აშშ) 6:4, 7:5; **სვეტლანა კუზნეცოვა** (12, რუსეთი) — ალიშია მოლიკი (22, ავსტრალია) 3:6, 7:6 (8:6), 6:2; **მარია შარაპოვა** (16, რუსეთი) — სესილ კარატანჩევა (ბულგარეთი) 3:6, 6:3, 6:2

წლეულს უკვე მეოთხე ტიტულზე მონადირე ჟუსტინ ენენ-არდენმა ესპანელ მარტა მარეროსთან მსუბუქ წაძიძგილავებაზე საათზე ხუთი წუთით ნაკლები გამოჰყო და ამაზე მეტის დამხარჯველი არც მეოთხე წრეში, უსახელო ჩეხ კვალიფიკანტ ბარბორა სტრიჩოვასთან ჩანს.

მომდევნო წრეში დაბინავდა რუსული სექსალიონი მარია შარაპოვაც, ვინაც ბოლეტიერის აკადემიაში მასთან ერთად გამოწრთობილ 14 წლის ბულგარელ კარანტაჩევას აჯობა. დღეს დაუჯერებლად ითამაშო, იძახდა ნამატჩევს ბულგარელი გოგუცანა. მაგრამ ეგ არა უშავს, ჯერ თოთხმეტის ვარ და სულ მცირე, წინ კიდევ ოცდაათი წელი მიდევსო.

**ლევან ძელაურაძე**



# სად ჩასვამენ რალფ შუმახერს?

FORMULA1 WORLD CHAMPIONSHIP

ორი ცხელ-ცხელი საფორმულო ამბავი. ორივე იაპონურ გუნდ „ტოიოტას“ შეეხება.

რალფ შუმახერის „უილიამსიდან“ წასვლის შესახებ თითქმის ნახევარი წელია, ხმები დადის. გერმანელ მრბოლს სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოსთან კონტრაქტი წლეულს ეწურება. თანამშრომლობის გაგრძელებაზე კი იყო ლაპარაკი, მაგრამ ბოსი და მძღოლი პირობებზე ვერ მორიგდნენ. მიზეზი ხელფასია. პატარა შუმიმ ყოველთვიური ორი მილიონი დოლარი მოითხოვა, რაზეც უილიამსისგან მტკიცე უარი მიიღო. მაშინვე გაჩნდა ცნობა, შუმახერი „ტოიოტაში“ გადადისო, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა.

ერთი კვირის წინ რალფის მენეჯერმა ვილი ვებერმა მიმართულება შეცვალა და დარწმუნებით განაცხადა, რომ მის კლიენტს ახლა „რენო“ ეპატიჟებოდა. ამას რენოელთა ბოს ფლავიო ბრიატორეს კატეგორიული უარყოფა მოჰყვა, ვებერი ჩემი მეგობარი კია და ხშირადაც ვხვდები, მაგრამ მასთან ამ საკითხზე არ მისაუბრიაო.

თავად ფრენკ უილიამსის თქმით, საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილი არაა და ვერც კი წარმოუდგენია, ეს ამბავი, როგორ დასრულდება.

გუშინ ისევ ამოტივტივდა „ტოიოტა“. გუნდის ერთ-ერთმა ინკოგნიტო თანამშრომელმა ბრიტანელ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რალფი უკვე შეხვდა „ტოიოტას“ ხელმძღვანელობას და თითქმის ყველა დეტალი მოგვარდა. საგაისო კონტრაქტს ამ დღეებში მოეწერება ხელი, შუმახერი წელიწადში 22 მილიონ დოლარს მიიღებს.

იქნებ ესეც ვებერის მორიგი ფანდია, რომ უილიამსზე გავლენა მოახდინოს და რალფისთვის ხელსაყრელი პირობები გამოსტყუოს. დრო ჯერ საკმაოა — შეფისა და მრბოლის სამომავლო ურთიერთობა საბოლოოდ ოთხ აპრილს, ბაჰრეინის დიდი პრიზის გათამაშებისას გაირკვევა. თუ მხარეები მაშინაც ვერ შეთანხმდებიან, სეზონის ბოლოს შუმახერი „უილიამსს“ დატოვებს.

გუშინვე „ტოიოტაში“ ჟაკ ვილნევის მისვლაზეც ითქვა. მსოფლიოს ექსჩემპიონი ამჟამად უმუშევარია და 2005 წელს მის უწინდელ „ბარზე“ ბევრად ძლიერ „ტოიოტათი“ გაჯირითებაზე ალბათ უარს არ იტყვის. ეს ხმაც რამდენად რეალურია, მალე გავიგებთ.

**გია ახალაძე**




რალფ შუმახერის და ფრენკ უილიამსის გზები, ალბათ, გაიყრება



## რეგულარული ჩემპიონატი

# ათასი შაიბა რუსებს

15 მარტი

**ბუფალო 5:6 ტორონტო**
*2:2 3:0 0:3 0:1*

1:0 პეხტი (10), 2:0 ბრიარი (13), 2:1 სუნდინი (17), 2:2 სუნდინი (20), 3:2 პეხტი (33), 4:2 შატანი (37), 5:2 დიუმონი (40), 5:3 ნოლანი (45), 5:4 ნოლანი (55), 5:5 რობერტსი (60), 5:6 კაბერლე (65)

ტორონტოელ ალექსანდრ მოგილნისგან ამას უფრო ადრე ელოდნენ. 1989 წლიდან ლიგაში მოასპარეზე ფორვარდი დიდი ხნის განმავლობაში რუს ლეგიონერთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო, მაგრამ ტრავმამ სეზონის დიდი ნაწილი გამოატოვებინა, რითაც სერგეი ფიოდოროვმა ისარგებლა. ნჰლ-ში ერთი სეზონით გვიან მისული ფიოდოროვი სულ კუდში მისდევდა თანამემამულეს და სანამ მოგილნი ტრავმას იშუშებდა, რუსთაგან პირველმა მიაღწია 1000-ქულიან ზღვარს. თუმც მოგილნიმაც არ დაახანა, ყინულზე დაბრუნებისთანავე ენერგიულად შეუდგა საქმეს და ორშაბათს „ბუფალოსთან“ მატჩში 3 პასის წყალობით მეორე რუსი და მეექვსე ევროპელი შეიქნა, ვინც 1000-ქულიანი მწვერვალი დაიპყრო.

„ალექს მოგილნის“ [illegible] დროის [illegible] პასმა მოუტანა ეს მიღწევა. მისი დარტყმის შემდეგ გერი რობერტმა დამატებაზე იხეირა. ოვერტაიმში კი რუსმა წესები დაარღვია და მარცხის საფრთხე შეუქმნა თავის გუნდს, მაგრამ საჯარიმო სკამიდან გამოსვლისთანავე იგი ოსტატურად დაუძვრა „ბუფალოს“ მცველს და შემდეგ, ტომაშ კაბერლეს ჩინებული პასი მიაწოდა. ჩეხმაც ივარგა და მოგილნიმ მეორე ათასეულში გადააბიჯა.

აღსანიშნავია, რომ თავისი კარიერის დიდი ნაწილი მოგილნიმ სწორედ „ბუფალოში“ გაატარა და რუსის ასეთი თამაში არასასიამოვნო სიურპრიზი იყო მისი ყოფილი კლუბისთვის. სამშაიბიანი უპირატესობით დაწინაურებულმა მასპინძლებმა ნაღდი ორი ქულა გაუშვეს ხელიდან და არ არის გამორიცხული, ფინიშზე ეს ძვირად დაუჯდეთ.

**რეინჯერსი 1:3 ნიუ ჯერსი**
*0:0 0:1 1:2*

0:1 ჟირდინა (31), 0:2 ელიაში (43), 1:2 ბალეი (47), 1:3 პანდოლფო (59)

**ატლანტა 1:0 კაროლინა**
*0:0 0:0 0:0 1:0*

1:0 ჰიტლი (62)

| აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპა | 72 | 41 | 8 | 5 | 18 | 215:166 | 95 |
| ფილადელფია | 74 | 37 | 14 | 6 | 17 | 211:168 | 94 |
| ბოსტონი | 72 | 35 | 14 | 7 | 16 | 184:163 | 91 |
| ტორონტო | 73 | 39 | 9 | 3 | 22 | 214:187 | 90 |
| ოტავა | 72 | 38 | 9 | 5 | 20 | 235:160 | 90 |
| ნიუ ჯერსი | 72 | 37 | 11 | 2 | 22 | 180:147 | 87 |
| მონრეალი | 73 | 38 | 6 | 3 | 26 | 190:168 | 85 |
| აილენდერსი | 71 | 31 | 10 | 4 | 26 | 199:186 | 76 |
| ბუფალო | 72 | 31 | 6 | 4 | 31 | 191:199 | 72 |
| ფლორიდა | 72 | 29 | 14 | 3 | 29 | 158:186 | 69 |
| ატლანტა | 73 | 29 | 7 | 3 | 34 | 194:220 | 68 |
| კაროლინა | 72 | 24 | 13 | 5 | 30 | 142:175 | 66 |
| რეინჯერსი | 73 | 25 | 7 | 6 | 35 | 187:218 | 63 |
| ვაშინგტონი | 72 | 21 | 8 | 2 | 41 | 164:222 | 52 |
| პიტსბურგი | 72 | 17 | 7 | 4 | 44 | 160:272 | 45 |

| დასავლეთი | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 71 | 42 | 10 | 2 | 17 | 224:157 | 96 |
| კოლორადო | 72 | 38 | 12 | 5 | 17 | 218:170 | 93 |
| სან ხოსე | 71 | 35 | 11 | 6 | 19 | 184:158 | 87 |
| ვანკუვერი | 72 | 37 | 9 | 4 | 22 | 205:173 | 87 |
| დალასი | 72 | 36 | 12 | 0 | 24 | 166:154 | 84 |
| კალგარი | 72 | 36 | 7 | 3 | 26 | 179:159 | 82 |
| ნეშვილი | 72 | 33 | 10 | 3 | 26 | 189:192 | 79 |
| ლოს ანჯელესი | 71 | 28 | 16 | 7 | 20 | 187:182 | 79 |
| სენტ ლუისი | 72 | 33 | 10 | 2 | 27 | 167:178 | 78 |
| ედმონტონი | 72 | 29 | 12 | 4 | 27 | 191:185 | 74 |
| მინესოტა | 71 | 23 | 20 | 2 | 26 | 153:159 | 68 |
| ანაჰაიმი | 72 | 25 | 9 | 8 | 30 | 159:188 | 67 |
| ფინიქსი | 72 | 20 | 16 | 5 | 31 | 175:218 | 61 |
| ჩიკაგო | 71 | 19 | 9 | 6 | 37 | 166:219 | 53 |
| კოლუმბუსი | 72 | 20 | 8 | 4 | 40 | 154:212 | 52 |

*პირველ სამ ადგილზე დივიზიონების ლიდერები არიან*

**ბომბარდირები:** სან ლუი (ტამპა) 85(34+51); საკიკი (კოლორადო) 82(31+51); ტანგეი (კოლორადო) 79(25+54); ლანგი (დეტროიტი) 78(29+49); კოვალჩუკი (ატლანტა) 77(27+40); ნესლუნდი (ვანკუვერი) 77(32+45); ჰოსა (ოტავა) 75(32+43); ალფრედსონი (ოტავა) 74(29+45); ჰეიდუკი (კოლორადო) 72(35+37); სუნდინი (ტორონტო) 69(29+40); რეკი (ფილადელფია) 69(26+43); სტილმანი (ტამპა) 69(23+46); იაგრი (რეინჯერსი) 68(27+41); რიჩარდსი (ტამპა) 68(22+46); ტორნტონი (ბოსტონი) 68(21+47)

# ტაში ჰაშეკს!

## მუქთ მილიონებს ალალი მადლობა ჯობს

**დომინიკ ჰაშეკი** მარტო დიდი მეკარე კი არა, პატიოსანი და კეთილშობილი ადამიანიც ყოფილა. „დეტროიტის“ გოლკიპერმა ამას წინათ განაცხადა, რომ საზარდულის ტრავმის გართულების გამო ამ სეზონში ველარ იასპარეზებდა. ამით მან თავის კლუბს იმედები გაუცრუა.

„დომინატორმა“ გარკვეულწილად თავადაც დამნაშავედ იგრძნო თავი (თუმც რა მისი ბრალია, რომ ძველი ტრავმა გაუმიზეზდა) და ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო — ხელფასის, 3 მილიონ დოლარის აღებაზე უარი თქვა. ეს თანხა მას 9 იანვრიდან სეზონის დასრულებამდე ეკუთვნოდა, სწორედ 9 იანვარს სთხოვა დომინიკმა მწვრთნელებს 3-4 კვირა დაესვენებინათ, რათა ტრავმა ბოლომდე მოეშუშებინა. მაშინვე განუცხადებია, სანამ მზად არ ვიქნები, ხელფასს არ ავიღებ, მუქთად პურის ჭამა არ მსურსო.

ეს ამბავი ჟურნალისტებს გუნდის გენერალურმა მენეჯერმა ვენ ჰოლანდმა უამბო. როგორც ხედავთ, ჰაშეკი სიტყვის კაცი ყოფილა.

„არაჩვეულებრივი ჟესტია, დომინიკმა იგრძნო, რომ ვერ შეასრულა ის, რის გაკეთებასაც აპირებდა და თავისი კეთილშობილური საქციელით კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სიდიადე“ — თქვა ჰოლანდმა.

გენერალურმა მენეჯერმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ჰაშეკმა ამ ჟესტით გუნდის მფლობელ მაიკ ილიჩს გადაუხადა მადლობა 2001 წლის ზაფხულში სამშობლოში მყოფ ჰაშეკს რაღაც უცნაური დაავადება აღმოაჩნდა და ილიჩმა თავისი ოჯახის ექიმი გაუგზავნა. გამოჯანმრთელების შემდეგ კი „დომინატორმა“ თავისი პირველი და ჯერჯერობით უკანასკნელი სტენლის თასი მოიგო.

**სამველ ლარიბიანი**

# დიდი საქვეყნო კრიკეტი

ბოლო თოთხმეტი წლის მანძილზე პირველად ტარდება პაკისტან-ინდოეთის სრული საკრიკეტო სერია, რომელიც ხუთი ერთდღიანი მატჩისა და სამი ტესტ-შეხვედრისგან შედგება. პირველი ერთდღიანის შემდეგ ინდოეთი წინაა. პოლიტიკური დაძაბულობის აღმოფხვრისთვის მეცადინე ორი ქვეყნისთვის ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს. რავალპინდიში პაკისტანელი პოლიციელი გოგონები შემფრთხალნი უცქერენ ინდოთა ვარჯიშს, ქაშმირში კი, რომელიც ორი ქვეყნის დავის მთავარი სადავო მიწაა, ჯეილები დიდი საკრიკეტო სანახაობით ტკბებიან.



REUTERS შრინაგარიდან



REUTERS რავალპინდიდან

# ქართოფა

სესტრიერში, სამთო თხილამურობის მსოფლიო თასის ბოლო ეტაპზე, სლალომის მაცქერალი ხალხი ქართოფას შეუწუხებია. ეს საგანგებო ჩაფხუტებიც ამიტომ მოუგონიათ.



REUTERS სესტრიერიდან

# ნოვა ტოპი

„ნოვა ტოპი“ მოხდენილი ცხენია, პენსილვანიელი ფილიპ დატონი ჩაუქი მხედარი. ფლორიდაში მსოფლიო თასის შესარჩევი ცხენოსნობა გახურებულა და ამ ცხენსა და ამ კაცს საგზური მოუგიათ.



REUTERS ფლორიდიდან



REUTERS ლიონიდან

# მესამე

ამერიკელი დენიელ ჯილი საქმიანად კი დატრიალდა ძელზე, მაგრამ საფრანგეთის ღია ჩემპიონატი მაინც ვერ მოიგო. ლიონში მიმდინარე შეჯიბრზე მან მესამე ადგილი დაიკავა.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge